ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

29 — 30 ივნისი, 2013

№152 (6153)

ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ + მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები

6 ლარი



ბიძინა ივანიშვილი: „დაპატიმრებების ბრძანებებს მე არ ვიძლევი“

გვ.4

რას ფიქრობს მთავრობა მერიის მაღალჩინოსნების დაკავებაზე

პაატა ზაქარეიშვილი: „ჩიორა თაქთაქიშვილმა ისტერიკებს თავი დაანებოს!“

გვ.3

ნაციონალი დეპუტატი მთავრობას აფხაზური და ოსური პასპორტების აღიარებაში ადანაშაულებს

ნაციონალები საპარლამენტო მუშაობას წყვეტენ

გვ.3

ბუტა რობაქიძის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილის დაკითხვას ითხოვენ

გვ.6

წიწამურთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ბავშვი დაიღუპა

მცხეთის რაიონში, წიწამურის გადასახვევთან, თბილისის მიმართულებით მოძრავი „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ავტომანქანა გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს გადავიდა და გზისპირა რკინის ჯებირს შეეჯახა. მანქანაში მყოფი სამი არასრულწლოვანიდან 2 ადგილზე გარდაიცვალა, ერთი კი სხეულის მძიმე დაზიანებით მცხეთის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

შსს-ს წინასწარი ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე იყო. ზუსტი მიზეზების დასადგენად ტარდება სატრანსპორტო და ტრასოლოგიური ექსპერტიზა. გამოძიება მიმდინარეობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

ვის რა შანსები აქვს საპრეზიდენტო არჩევნებზე

გვ.3

ნელსონ მანდელა გარდაიცვალა

გვ.7

ISSN 1987-9385

მერია და საკრებულო ფინანსთა სამინისტროს პროკურატურაში უჩივიან

შორენა გონგლაძე

ოხი დღის წინ, თბილისის მეჯის და საჯებუღოს თანამშრომლების დაჯავება-გაშვება საბოლოოდ გუშინ დამთავრდა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ 22 დაჯავებული-გაშვებული თანამშრომლიდან განმეორებითი სპეცოპერაციის დროს დაჯავებულთა ხელვი ოთხზე ჩამოვიდა. საბიუჯეტო თანხების მითვისებაში ბრალდებულთა სია ასე გამოიყურება: თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე, თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარე დავით ავალიანი, თბილისის შესყიდვების სამსახურის უფროსი ალექსი თაბუაშვილი და მთაწმინდა ჯინანისის გამგებლის მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე საბიუჯეტო თანხების ნაციონალური მოძრაობის პარტიული მიზნებისთვის მითვისება-გაფლანგვის საქმეზე დაჯავეს.

რაც შეეხება თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძეს, მისი დაკავება საკმაოდ ორიგინალურად მოხდა, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ალავიძე დაახლოებით ღამის თერთმეტ საათზე ბუდა ბარში დაიკავეს, სადაც ის მეგობრის დაბადების დღეზე იმყოფებოდა. ალავიძეს საკუთარი უფლებები მუსიკის ფონზე გაეცნეს.

დაკავებულებს გამოძიება 49 მილიონი ლარის მითვისებას ედავება. ამავე საქმეზე ბრალდებულად არის ცნობილი თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი საბანაძე, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, მიმალვაშია. შეგახსენებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, ეს ადამიანები ბანკომატებიდან თანხებს „განსაკუთრებული აღტკინებით“ იტაცებდნენ. მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მსგავს არც მუხლს და არც ქვეპუნქტს არ იცნობს, მაგრამ, ფაქტია, რომ ახალი ტერმინი და დაკავებულების განსაკუთრებული აღტკინება ბრალის დამძიმების და გამყარების საფუძველი ნამდვილად გახდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, უდანაშაულობის პრეზუმპციას დავიცავთ და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ დაკავებულებს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვთ წაყენებული, სხვა დანარჩენი უკვე გამოძიების პროგრამატივაა.

გამოძიების ინფორმაციით, საქმე ეხება დედაქალაქის ბიუჯეტის კუთვნილი 48 930 822 ლარის მითვისება-გაფლანგვის სამ ეპიზოდს, რომელიც მოიცავს ფონდიდან სახელფასო პლასტიკური ბარათების მეშვეობით 13.8 მლნ ლარის გაფლანგვის ფაქტს; ფონდის საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის სახით 34.3 მლნ ლარის მითვისების ფაქტს და ნაციონალური მოძრაობის პარტიული ღონისძიებების ორგანიზებისთვის დახარჯულ 719 862 ლარს.

პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით, გამოძიება განმარტავს, რომ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი საბანაძის, ხელმძღვანელობით 2011 წლის ნოემბერში ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კოორდინატორების დაფინანსების მიზნით დამზადდა პლასტიკური ბარათები 719 პიროვნებაზე, რომლებიც, ისე რომ, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, ფიქტიურად გაფორმებულები იყვნენ ფონდში შენობათა კვლევის სპეციალისტებად. გამოძიების ცნობით, ბარათები, რომლებზეც ხელფასები 2011 წლიდან 2012 წლის ნოემბრამდე ირიცხებოდა, შესყიდვების სამსახურის უფროსის, ალექსი თაბუაშვილის, მეშვეობით გადანაწილდა ნაციონალური მოძრაობის ათი რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელზე და ამ ანგარიშებიდან თანხები პერიოდულად გამოჰქონდათ ამჟამად დაკავებულ თაბუაშვილს, ავალიანს, ჩხეიძეს და მერიისა და გამგეობის 30-მდე თანამშრომელს. ამასთან გამოძიება აღნიშნავს, რომ ამ 719 პირიდან უმეტესობა ფიქტიურად იყო ასევე დასაქმებული „თბილსერვის“ ჯგუფში, რომელთან დაკავშირებით ასევე მიმდინარეობს გამოძიება და ქალაქის მერს, გიგი უგულავას, წაყენებული აქვს ბრალი საბიუჯეტო თანხების პარტიული მიზნებით გამოყენების საქმეზე.

როგორც გამოძიება აღნიშნავს, მეორე ეპიზოდში თბილისის მერის მოადგილემ, დავით ალავიძემ, და ფონდის ხელმძღვანელმა, გიორგი საბანაძემ, გააუქმეს პლასტიკური ბარათები და ანგარიშიდან თანხები პარტიული მიზნებისთვის 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით ნაღდი ფულის სახით სულ შვიდჯერ გაიტანეს, ჯამში 34 328 463 ლარის ოდენობით.

მესამე ეპიზოდში ასევე ფიგურირებენ გიორგი საბანაძე და დავით ალავიძე, რომლებმაც, გამოძიების ინფორმაციით, ფონდის სახელით ხელშეკრულება გაუფორმეს ორ კომპანიას, რომლებმაც 2012 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით ორგანიზება გაუკეთეს ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების გამასპინძლებისთვის ფურშეტებს, რომელთა ანაზღაურების სანაცვლოდ „თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშიდან გაიფლანგა 719 862 ლარი.

გუშინვე, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების სახელით მთავარ პროკურატურაში სარჩელი შევიდა, სარჩელს 22 პირი აწერს ხელს, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ორი დღის წინ, დილით დაიკავა.

სარჩელის თანახმად, ისინი დაკავების ფაქტის გამოძიებას და იმ ადამიანების ქმედებების სამართლებრივ შეფასებას ითხოვენ, ვინც უკანონო დაკავების გადაწყვეტილებები მიიღო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ასევე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, რომელიც უშუალოდ კურირებს საგამოძიებო სამსახურს, უარყვეს, რომ რაიმე საპროცესო დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მათი განცხადებით, დაკავება მოხდა საღამოს და არა დილით, როცა, მათი თქმით, მხოლოდ დაკითხვის პროცედურა ტარდებოდა საგამოძიებო სამსახურში.

ნოდარ ხადურის განცხადებით, კანონი იქნება მკაცრი ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ხელისუფლებაში ყოფნისას სახელმწიფო სახსრები მითვისა.

– კანონი იქნება მკაცრი ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახელმწიფო სახსრები მითვისა. მიმდინარეობს გამოძიება და მინდა გითხრათ, რომ ის იქნება ძალიან გამჭვირვალე და ობიექტური. არც ერთი თანამდებობა, არც ყოფილი, არც ახლანდელი და არც მომავალი არ არის იმუნიტეტი იმისა, წარსულში რომ ვიღაცამ დანაშაული ჩაიდინა, პასუხი არ აგოს, – განაცხადა ნოდარ ხადურმა. მისივე თქმით, მაღალჩინოსნების დაკავებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები დაცული იყო.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ქმედებას აღვირახსნილს უწოდებს და ამბობს, რომ აღნიშნული ქმედება ყველანაირ კანონიერ ჩარჩოს სცდება.

ახვლედიანის თქმით, როდესაც ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი მიყვანა საგამოძიებო სამსახურში მოხდა მხოლოდ მოწმის სახით, მაინტერესებს, ვინმეს თუ უნახავს მოწმეები ბორკილებდადებული ეტარებინოთ აქეთიქით? ახვლედიანის თქმით, ხელბორკილების კვალი ჯერ კიდევ ემჩნევა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე მიიჩნევს, რომ გუშინწინ დილით თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების აყვანისას დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

როგორც მან გუშინ გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის დაკითხვაზე ძალით მიყვანას, მაგრამ ამას სჭირდება შესაბამისი პროცედურების გავლა. თუმცა, როგორც მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა განაცხადეს, ისინი არაერთხელ ყოფილან დაკითხვაზე და გამოძიებისთვის წინააღმდეგობა არასდროს გაუწევიათ.

კოჟორიძის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს განზრახ უკანონო დაკავებას.

კოჟორიძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა უკვე მიმართეს პროკურატურას და მისი ვარაუდით, გამოძიება სწორედ ამ მუხლით უნდა წარიმართოს. საია-ს თავმჯდომარე სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას ელოდება.

მისი შეფასებით, ვინც დაგეგმა ეს ქმედება, ან ძალიან არაპროფესიონალია, ან პირიქით, ძალიან პროფესიონალია და კარგად აქვს გათვლილი ყველაფერი. ორივე შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან ეს იმსახურებს სათანადო ყურადღებას, რათა მსგავსი ქმედებები აღარ განხორციელდეს.

კოჟორიძეს უჭირს იმის დაკონკრეტება, ვისი ბრძანებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო ქმედებები, ან ადევს თუ არა ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი. თუმცა ის დარწმუნებულია, რომ ამის შესახებ ბრძანება გაცემულია მაღალი თანამდებობის პირის მიერ.

დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას, განცხადებით, ბიძინა ივანიშვილთან დაიგეგმა მაღალჩინოსანთა დაკავებები, – მაქვს ინფორმაცია, რომ მასთან დაიგეგმა ეს ყველაფერი და რომ ძილისპირულის წინ მან დავალება გასცა, ყველა ის ადამიანი, საჯაროდ, ასეთი ფორმით დააკავონ იმისათვის, რომ სხვებისთვის ეს იყოს ჭკუის სასწავლებელი. ეს სხვა არაფერია თუ არა ძალაუფლებით ტკბობა, ეს არის კანონის უხეში დარღვევა და ადამიანების უფლების შელახვა, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მიხეილ სააკაშვილი: „დამნაშავე მართლაც უნდა დაისაჯოს, მაგრამ წესებიც უნდა დაიცვა“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რომელიც მან დღეს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას გააკეთა, საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალი დემოკრატიული სამყაროს წესებით ცხოვრებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა შეიძლება დაიღუპოს.

„თუ ვიქნებით ქვეყანა, რომელსაც არასოდეს არავინ ახსენებს და არავის ახსოვს, მაშინ, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, არსებობას, სამწუხაროდ ვერ გავაგრძელებთ. ეს არის ყველაზე დიდი კოშმარი, რაც შეიძლება რომ წარმოვიდგინოთ. ამიტომ ჩვენ, დემოკრატიული სამყაროს წესებით ცხოვრება უნდა ვისწავლოთ.

დამნაშავე მართლაც უნდა დაისაჯოს, კორუმპირებული უნდა დაიჭირონ, მას, ვინც ადამიანს შეურაცხყოფას აყენებს – პასუხი უნდა აგებინონ, მაგრამ ამავე დროს წესებიც უნდა დაიცვა და ყველას მიმართ თანაბარი მიდგომები უნდა გქონდეს“– განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

ირაკლი ღარიბაშვილი: „მერიის მაღალჩინოსნების დაკავებაზე ატეხილი აჟიოტაჟი პასუხისგების შიშითაა განპირობებული“

ბათუმში მიმდინარე თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციაზე მყოფმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, თბილისის მერიის მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ უკანონო არაფერი მომხდარა.

„ძალიან მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორი შორი ვიცე-მერის ბრალეულობა გამოიკვეთა. მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ ყველა დანაშაულს გამოვიძიებთ. საქმე, ათეულობით მილიონი ლარის მითვისებას და გაფლანგვას ეხება. მოგეხსენებათ საუბარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 50 მილიონი ლარის მოპარვაზეა. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია რატომ ატეხეს ამხელა აჟიოტაჟი. ამას ერთადერთი ახსნა აქვს, რომ ეს შიშისგანაა გამოწვეული.

პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალეა. სამართალდამცავ ორგანოებს კი, სრული თავისუფლება უნდა მიეცეს, რომ აღნიშნული დანაშაული სრულად გამოძიონ და ყველა დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯონ „– განაცხადა ღარიბაშვლმა.

ნიუსპრესი

პარლამენტის თავმჯდომარე საბერძნეთში გაემგზავრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, დღეს საბერძნეთში გაემგზავრა. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, უსუფაშვილი ათენში, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ გენერალური ასამბლეის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. საიუბილეო ასამბლეის სხდომაზე მონაწილეები სპეციალურ დეკლარაციას მიიღებენ.

ვიზიტის ფარგლებში დავით უსუფაშვილი შეხვედრებს გამართვს საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან, საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე: „არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში, გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, აირაის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუმრობის დროს გამოეხმაურა, სადაც კონფერენციაში – „ეუთოს ახალი შესაძლებლობები კავკასიის რეგიონისთვის,“ მიიღო მონაწილეობა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები ხშირად საზოგადოების განწყობას არ ასახავს.

„მე საერთოდ არცერთ კვლევას არ ვეხმაურები, მითუმეტეს, რომ თავად IRI – მ გააკეთა განცხადება, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია მათი კვლევის შედეგებს არ შეესაბამება.

წლების განმავლობაში, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ გაცილებით უკეთესად ვიცი ჩვენი მოსახლეობის და ხალხის განწყობა, ვიდრე ეს რომელიმე კვლევაში შეიძლება იყოს მოცემული. ეს განწყობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ უფრო შეიცვლება, წინ ჯერ კიდევ საკმაო დროა და მე დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, აუცილებლად გავიმარჯვებ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პაატა ზაქარეიშვილი: „ჩიორა თაქთაქიშვილმა ისტერიკებს თავი დაანებოს!“

ნაციონალი დეპუტატი მთავრობას აფხაზური და ოსური პასპორტების აღიარებაში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი ქვეყნის ხელისუფლებას ხალხის მოტყუებაში ადანაშაულებს. ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერს მეოცნებეების მიერ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი არ მოსწონს. ამჯერად კი მათი ქმედებით უბრალოდ შეშფოთებულია. დეპუტატის მტკიცებით, ახალმა ხელისუფლებამ აფხაზური და ოსური პასპორტები აღიარა. მის ბრალდებებს მეოცნებე დეპუტატები და მინისტრები აბსურდულს უწოდებენ.

– ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის 5 მომხსენებლის სპეციალური ანგარიშიდან ცნობილი ხდება, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მორიგი ტყუილის და ფარული გეგმების შესახებ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეების გასაგონად გადათქვამს ხოლმე საჯარო გამოსვლებში ან, სადაც ხელისუფლება საზოგადოების აქტიურობის ფონზე უკან იხევს. ანგარიშში შემდეგი რამ წერია, იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ვაჭრობას და გაიზარდოს გადაადგილების თავისუფლება, ახალი მთავრობა აცხადებს, რომ მისი სურვილია, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიასა და სოხუმის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრის გავლით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი განიხილოს; მან ასევე გააუქმა წესები, რომელიც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიერ გაცემული ე.წ. „პასპორტებით“ საქართველოში გადაადგილებას ართულებდა და აღიარა ისინი ვალიდურ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებად თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე“; „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით: „საზღვრის უკანონო გადაკვეთის დეკრიმინალიზაცია არ მოხდება, მაგრამ პირველი დარღვევისთვის პასუხისმგებლობა პრაქტიკულად სიმბოლური იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადებას ქართული ოპოზიცია მწვავედ ეწინააღმდეგება, ჩვენი ვიზიტის დროს შევიტყვეთ, რომ ეს ცვლილება ყველაზე გვიან, 2013 წლის ივლისში შევა ძალაში. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ცვლილებებს მიიჩნევს, როგორც არასაკმარისს იმისთვის, რომ ხელშესახები შედეგი ჰქონდეს“; „რუსეთის და საქართველოს მთავარი პროკურორები ღიად აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან, ერთმანეთთან ითანამშრომლონ ჰუმანიტარული სამართლისა და ომის დანაშაულების გამოძიების პროცესში“. ხოლო ამავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მხარე იძიებს მხოლოდ ქართული მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებს: „საგამოძიებო კომისიამ ჩაატარა გამოძიება ომის დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილ შესაძლო ომის დანაშაულებთან დაკავშირებით. მან დაასკვნა, რომ ვერ შეძლო ვერავითარი მტკიცებულების მოძიება, რომლითაც დამტკიცდებოდა, რომ ომის მიმდინარეობისას ან შემდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს ომის დანაშაული ან დაარღვიეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. საგამოძიებო კომისიამ დაიწყო გამოძიება ომის დროს ქართველი სამხედროების მიერ რუსი სამშვიდობოების მკვლელობის, ქართული ჯარის მიერ აკრძალული იარაღისა და ბრძოლის მეთოდების გამოყენების, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მანდატის მქონე ინსტიტუტზე (რუსი სამშვიდობოები) თავდასხმის კუთხით, – აცხადებს თაქთაქიშვილი.

დეპუტატი ამტკიცებს, რომ ახლო მომავალში სარკინიგზო მიმოსვლაც აღდგება რუსეთთან. ამ რკინიგზამ აფხაზეთის მონაკვეთი უნდა გაიაროს. აფხაზები კი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. თაქთაქიშვილი კი ამტკიცებს, რომ სარკინიგზო

მიმოსვლა აუცილებლად აღდგება.

– მაღე უნდა ველოდოთ, რომ გაგვიხსნიან რკინიგზას, რომელიც მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება და პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესს. თურმე უკვე ვაღიარეთ სოხუმის და ცხინვალის მიერ გაცემული, ე.წ. „პასპორტები“, როგორც „ვალიდური დოკუმენტები“ და ამის შესახებ ჩვენ თვითონაც არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცოდი და თქვენ? და ბოლოს, საქართველოს მთავარი პროკურატურა აპირებს, დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის პროკურატურას, რომ მათ ქართველების მიერ ჩადენილი ომის დანაშაულები გამოიძიონ! თუმცა, ალბათ, ეს ნაკლები პრობლემაა პირველ ორთან შედარებით, რადგან წულუკიანი, კბილაშვილი და ნაცვლიშვილი გამოიძიებენ ომის დაწყებას თუ პუტინი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, – აცხადებს ჩიორა თაქთაქიშვილი.

განგაშის ზარებს გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი ბარამიძემაც შემოჰკრა. ბარამიძე ერთი ინფორმაციის გამო იყო დამწუხრებული. ევროპაში ხმა გავარდა, ევროპარლამენტში აფხაზური კულტურის დღეები უნდა გაიმართოსო.

– ძალიან სამწუხარო იქნება, თუ დღეს ისეთ სიტუაციამდე მივედით, ანუ ისე დასუსტდა ქართული დიპლომატია, რომ ამის საშუალება მარიონეტებს და საოკუპაციო ძალებს მიეცათ, ანუ პროპაგანდისა, ვითომ ყველაფერი კარგად არის, ვითომ არ არსებობს ოთხმოცი პროცენტი ადამიანებისა, რომლებიც არიან მსხვერპლნი და ყველაფერი ნორმალურად და წყნარად მიდის აფხაზეთში, – განაცხადა დამწუხრებულმა ვიცე-სპიკერმა.

ევროპარლამენტში აფხაზური კულტურის დღეების შესაძლო გამართვასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილიც გამოეხმაურა. მინისტრი ღრმად არის დარწმუნებული, რომ აფხაზური კულტურის დღეები ევროპულ პარლამენტში არ გაიმართება.

– ასეთი რამ გამორიცხულია და შეუძლებელია ევროპარლამენტში აფხაზეთის დღეები ჩატარდეს საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე. იმიტომ, რომ ევროპარლამენტი მკაფიოდ მისდევს არაღიარების პოლიტიკას. შესამოწმებელია ეს ფაქტი, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრმა ჩიორა თაქთაქიშვილის ბრალდებებიც უარყო. მისი მტკიცებით, ხელისუფლებას არ უღიარებია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული ე.წ. პასპორტების ვალიდურობა.

– საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას ან პარლამენტს არ გამოუცია არანაირი ნორმატიული აქტი, რომლითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული ე.წ. პასპორტების ვალიდურობას აღიარებდა. ამდენად, ინფორმაცია, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ამ ე.წ. პასპორტების ვალიდურობა აღიარა, სინამდვილეს არ შეესაბამება. ასევე არ შეცვლილა წესები, რომლებიც აღნიშნული დოკუმენტებით საქართველოში გადაადგილებას არეგულირებს. არც ეს წესები გაუქმებულა. საქართველოს ხელისუფლებას არც ამ საკითხზე გამოუცია რაიმე ნორმატიული აქტი და არ მომხდარა არანაირი სამართლებრივი ცვლილება. ამდენად, ვურჩევ ჩიორა თაქთაქიშვილს, შეეშვას ისტერიკას, დეზინფორმაციის გავრცელებას და ინფორმაცია საქართველოს მთავრობასთან გადაამოწმოს ან შესაბამისი ნორმატიული აქტები მოიძიოს. არ შეცვლილა არც ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია და საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა კვლავაც ამ სტრატეგიით ხელმძღვანელობს, – ამბობს აღშფოთებული მინისტრი.

ჩიორა თაქთაქიშვილის ერთ-ერთ ბრალდებას რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძეც უარყოფს. მისი მტკიცებით, რუსეთთან ერთად 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიებას არავინ აპირებს.

– ეს პასპორტები არავის უღიარებია და არ აპირებს არავინ, რუსეთთან ერთად გამოიძიოს 2008 წლის მოვლენები. ტალიავნის კომისიამ ეს მოვლენები შეისწავლა და დასკვნაც დადო. შეიძლება მოხდეს შესწავლის გაგრძელება იმ მიმართულებით – თუ რა დანაშაული იქნა ჩადენილი საომარი მოქმედებების დროს, მაგრამ ერთობლივი ძალისხმევით გამოძიება არ იგეგმება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში აბაშიძემ.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი არის მატყუარა და ცდილობს, ბინძური მეთოდებით დასდოს ბრალი ახალ ხელისუფლებას ფაქტობრივად სამშობლოს ღალატში.

– არავის უღიარებია ე.წ. აფხაზეთის და ცხინვალის პასპორტები და არც ვაპირებთ და რუსეთის შემსწავლელი კომისიის დასკვნებს მიზანმიმართულად ჩვენ ნუ გვტენის. სამშობლოს ღალატის დაბრალება მიშას ფულით გულაობა არ არის, უნდა დაფიქრდე, ჩიორა, – წერს ირაკლი სესიაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

იმედია, რომ საქართველოს ხელისუფლება მართლაც არ აპირებს აფხაზური და ოსური პასპორტების აღიარებას.

ამავე დროს, უხერხულია, როცა ნაციონალები სხვას საყვედურობენ რამის აღიარებას. სხვა თუ არაფერი, მათ აღადგინეს გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მათივე ეგიდით იქნა არჩეული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად დიმიტრი სანაკოევი. აგვისტოს ომის თავიდან აცილება აღბათ შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ომის პროვოცირება სწორედ სამხრეთ ოსეთის მეორე რესპუბლიკის შექმნამ გამოიწვია.

შორენა მარსაგიშვილი

მერიის თანამშრომლების დაკავებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალების აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთების მიღმა არც საპარლამენტო უმცირესობა დარჩენილა. გუშინ მათ ქუთაისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს და გვამცნეს, საპარლამენტო საქმიანობას დროებით ვწყვეტთო. პირველად ასეთ ბოიკოტს ნაცმოძმა შარშან, ბაჩო ახალაიას დაკავების შემდეგ მიმართეს. თუმცა საპარლამენტო საქმიანობას მალევე დაუბრუნდნენ.

ნაციონალები საპარლამენტო მუშაობას წყვეტენ

გუშინ გაირკვა, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურ ბოიკოტს აცხადებს და საპარლამენტო საქმიანობას დროებით წყვეტს. როგორც პარტიის წარმომადგენელმა, დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა გუშინ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი თბილისის საკრებულოს და მერიის წარმომადგენლების დაკავებები გახდა.

– ჩვენს საზოგადოებას მოეხსენება, რომ 27 ივნისიდან ფინანსური პოლიციის და მთავრობის მხრიდან მიმდინარეობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ უპრეცედენტო შეტევა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ გუშინ დილიდან საკრებულოს წევრების, თბილისის პარტიული ხელმძღვანელების და სხვა პარტიის წევრი თანამდებობის პირების მიმართ ხორციელდება უკანონო დაკავებები, გატაცებები, რაც, ბუნებრივია, არღვევს კონსტიტუციას და საპროცესო კანონმდებლობას. შემდეგ ის ადამიანები გამოშვებულ იქნენ, თუმცა იმავე ღამეს ასევე საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით ისინი ისევ დააკავეს. ეს პოლიტიკური შეტევა განაპირობებს ჩვენი პარტიის მიმართ უპრეცედენტო თავდასხმას. ასეთ პირობებში საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეუძლებელია ჩვეულებრივი რუტინული საპარლამენტო საქმიანობის წარმართვა. ჩვენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას ისეთი კანონმდებლობების განხილვაში, როგორიც არის, მაგალითად, ტელესერიალების გაუქმება და ასე შემდეგ, მაშინ როცა, მიმდინარეობს ნაციონალური მოძრაობის, როგორც მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის, განადგურების პროცესი. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და გადავდივართ პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში. საპარლამენტო ფრაქცია ტოვებს პარლამენტის სხდომას. მთელი შემადგენლობით მიდის თბილისში, რათა თბილისში გავაგრძელოთ სიმართლისა და კანონიერებისთვის ბრძოლა. მომავალი გეგმების თაობაზე პარტია უახლოეს პერიოდში მიიღებს გადაწყვეტილებას, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

მეოცნებეები ნაციონალების ბოიკოტს გაგებით მოეკიდნენ. მათი აზრით, ყველა პარტიას აქვს უფლება მიმართოს ბოიკოტს. საინტერესოა, როდემდე გასტანს ნაციონალების ბოიკოტი.

ოპოზიციაში გადაბარგებულებს სხვა თავსატეხიც აქვთ. საპრეზიდენტო არჩევნები კარს არის მომდგარი, ნაცმოძს კი საპრეზიდენტო კანდიდატი დასახელებულიც არა ჰყავს. საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარებას აპირებენ. წესით და რიგით, პრაიმერი ივნისის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არ აცალა მტარვალმა ხელისუფლებამ.

ხელისუფლების ქმედებების მიუხედავად, ისინი პრაიმერის მაინც ჩაატრებენ. ამის შესახებ გუშინ გიორგი ვაშაძემ გააკეთა განცხადება. დეპუტატის განცხადებით:

ნაციონალური მოძრაობა პრაიმერში მონაწილე კანდიდატებს დღეს, 12:00 საათზე დაასახელებს, 30 ივნისიდან კი შიდაარჩევნები ქუთაისიდან დაიწყება.

– მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გადავწყვიტეთ, დევნისა და დაკავების ფონზეც კი არ შევცვალოთ პრაიმერის ჩატარების გეგმა. ხელისუფლების ზრახვების განხორციელება და, შესაბამისად, ოპოზიციის არარსებობა კატასტროფული იქნება ქვეყნისთვის და ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია, 30 ივნისიდან ვიწყებთ პრაიმერს ქუთაისიდან და ვერთვებით საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში. სიტუაცია ძალიან რთულია, მაგრამ ამ რთულ სიტუაციაში ჩვენ გვაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დავანახოთ, რა ხდება ქვეყანაში. დღეს, 12:00 საათზე დავასახელებთ კანდიდატურებს, რომელთა რეგისტრაციის ვადა დღეს მთავრდება, – განაცხადა ვაშაძემ.

ვაშაძემ 2 დღის წინ განვითარებული მოვლენებიც შეაფასა. მისი თქმით, 27 ივნისს განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ოპოზიციის განადგურებისთვის დიდი შეტევა მიმდინარეობს.

– ის, რაც თბილისში მოხდა, არის გაგრძელება და კულმინაცია მმართველი პარტიის მხრიდან პოლიტიკური ველის უზურპაციის მცდელობის. კამპანია მიზნად ისახავს ოპოზიციის სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის განადგურებას. ეს ხდება ყველა რაიონში, – მიიჩნევს ვაშაძე.

დეპუტატი ვაშაძე დარწმუნებულია, რომ მერიის დაკავებული თანამშრომლების წინააღმდეგ სამართალდამცავ სტრუქტურებს მტკიცებულებების შეგროვება გაუჭირდება.

– პროკურატურას თავზე ენგრევა აბსოლუტურად ყველა სისხლის სამართლის გამოძიება, რომელიც აქამდე დაიწყო. აღსანიშნავია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და გენერალური მდივნის გზავნილი საქართველოსადმი. ანდერს ფოგ რასმუსენმა უდიდესი შეშფოთება გამოხატა მიმდინარე დაკავებებთან დაკავშირებით, რაც პირველი პრეცედენტია, მაგრამ როგორც კი ნატოს გენერალური მდივნის თვითმფრინავი გაფრინდა, ხელისუფლებამ განაახლა დაპატიმრებები და იმის ნაცვლად, რომ ამ უმძიმესი გზავნილის შემდეგ გაეაზრებინა, თუ როგორ პოლიტიკურ რისკებს უქმნის მისი საქმიანობა საქართველოს, თავის ქმედებებს განაგრძობს და საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს უსაფრთხოებასა და დემოკრატიას, – ამბობს შეწუხებული დეპუტატი.

ზეწოლებსა და აწიოკებას სხვა ნაციონალებიც აპროტესტებენ. ამასთან მეოცნებეებს აფრთხილებენ, რომ ისინი პოლიტიკიდან ნაციონალების გაქრობას ვერ ეღირსებიან.

ირაკლი ალასანია: „ყველა დამნაშავე დაისჯება!“

რას ფიქრობს მთავრობა მერიის მაღალჩინოსნების დაკავებაზე

ნათია ხურცილავა

ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის საქართველოში ყოფნის დროს მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნები ფინანსურმა პოლიციამ დააკავა, მოგვიანებით კი ისინი გაათავისუფლეს, თუმცა გვიან ღამით ოთხი მათგანი კვლავ დააკავეს. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის ფაქტი, რომ მაღალჩინოსნების დაკავება რასმუსენის თბილისში ვიზიტის დროს მოხდა, კარგი მტკიცებულებაა იმისთვის, რომ აღნიშნულ პროცესებს ის არ ხელმძღვანელობს.

მინისტრთა კაბინეტის წევრების განცხადებით, თუ პროცედურული დარღვევა დაფიქსირდა, ამას სამართლიანი სასამართლო გამოიძიებს. სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ალექსი პეტრიაშვილმა საბოტაჟიც კი უწოდა. ალექსი პეტრიაშვილს პრეზიდენტი სააკაშვილი გამოეხმაურა.

– ვინ სთხოვდა მინისტრს ეთქვა, რომ საბოტაჟია და ბოდიშს გიხდითო. გეგონება, საბავშვო ბაღში ვართ და უნდა ვთქვათ, რომ მეტს აღარ ვიზამთ, ოღონდ საღამოს ისევ ვქნათ. ეს საქართველოსთვის სასიცოცხლო საქმეა. აქ მარტო იმაზე კი არ არის საუბარი, რომელიმე პარტია დაზარალდება, მთავრობა, თუ პრეზიდენტი ან თუნდაც დემოკრატია – საქართველოს უსაფრთხოება ზარალდება და საქართველოს უსაფრთხოება არის ის, საქართველო იარსებებს თუ არა, თუ ისევ რუკიდან გაქრება. ვდგავართ ასეთ მდგომარეობაზე დ ვიქნებით ყველაზე სამაგალითო, სანიმუშო, რომელიც ყველას ცაში აჰყავდა, ან ვიქნებით ქვეყანა, რომელიც არასდროს არავის ახსენდება. ასეთი ქვეყანა, ჩვენი გეოგრაფიის გათვალისწინებით, სამწუხაროდ, არსებობას ვერ გააგრძელებს და ეს არის ყველაზე დიდი კოშმარი, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, ამიტომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ დემოკრატიული სამყაროს წესებით ცხოვრება, – ამბობს სააკაშვილი.

რა მოხდა რეალურად? ვინ მართავს პროცესებს? ჟურნალისტების ამ კითხვებზე მოუწია მინისტრთა კაბინეტს და მის ხელმძღვანელ ბიძინა ივანიშვილს პასუხის გაცემა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, გუშინდელი ქმედებები ამტკიცებს, რომ მთავრობა სამართალდამცველ სტრუქტურებს არ მართავს.

ივანიშვილმა ყოფილ ხელისუფლებას უთხრა, რომ ეს მათი მანერაა და თქვენ ფიქრობთ, რომ ყველა ასე მოქმედებს.

– მე ჟურნალისტებმა მიკარნახეს, რომ უგულავას იმ პლატფორმაში გადააქვს ეს ყველაფერი, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა. მე კიდევ პირიქით ვიტყოდი, გუშინდელი ქმედებები ძალიან კარგი სამტკიცია იმისა, რომ მე, პირადად, როგორც მთავრობის მეთაური და პოლიტიკური ჯგუფი, არ ვმართავთ სამართალდამცველი სტრუქტურების ყოველდღიურ ქმედებებს. ეს მათ ჰქონდათ ეს მანერა და ასე ჭგონიათ, რომ დღესაც ასეა. პოლიტიკურად ჩვენთვის ძალიან სასარგებლო არ იყო, რაც მოხდა გუშინ, მაგრამ ეს აჩვენებს იმას, რომ ჩვენ არ ვკარნახობთ და მე არ ვკარნახობ. სამართალდამცველი სტრუქტურები კანონის შესაბამისად მოქმედებენ და იმის მიხედვით, თუ რა არის საჭირო და არ უყურებენ პოლიტიკას. თუ კითხვები ისმის იმასთან დაკავშირებით, რომ იყო გადაცდომები დაკავების პროცედურებთან დაკავშირებით, იჩივლონ და სასამართლო დაადგენს ყველაფერს. პოლიტიკური განცხადებები მეტყველებს იმაზე, რომ თავად ცხოვრობდნენ ასე, ერთი კაცი წყვეტდა ყველაფერს და მერე სხვები აკეთებდნენ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, საგამოძიებო სტრუქტურებში მიმდინარე პროცესები პოლიტიზებული არ არის.

ალასანია ამბობს, რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს არ იცნობს, თუმცა რაიმე სახის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას გამორიცხავს.

ალასანია აცხადებს, რომ თუ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გადაცდომას ჰქონდა ადგილის სამართალდამცავების მხრიდან, დამნაშავე დაისჯება.

– კონკრეტულად ამ სისხლის სამართლის საქმეს არ ვიცნობ, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ აბსოლუტურად არ არის პოლიტიზებული არც პრემიერის, არც შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან ის პროცესები, რომლებიც პროკურატურასა და საგამოძიებო სტრუქტურებში მიდის. თუ ვინმეს რამე გადაცდომა ჰქონდა, ეს გამოვლინდება და დამნაშავე იქნება დასჯილი, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ მარტივად უნდა შევხედოთ და დავინახოთ, რომ სამართალდამცავები კარნახის გარეშე მოქმედებენ.

ვიცე-პრემიერ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცველი ორგანოები დიქტატისგან თავისუფალნი არიან.

– ეს რომ ყოფილიყო პოლიტიზებული პროცესი, ის ასეთ პერიოდში არ იქნებოდა განხორციელებული. ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცველი ორგანოები თავისუფალნი არიან დიქტატისგან, მათ არავინ კარნახობს, როდის, სად და როგორ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. შესაბამისად, თუ ყველაფერს კუდი არ მოებმება, არამედ სიტუაციას შევხედავთ მარტივად, ვნახავთ, რომ სამართალდამცველი ორგანოები მუშაობენ და არავინ კარნახობს, როდის, რა გააკეთონ. ეს არის რეგულარული მუშაობა და, თუ ამ მუშაობის პროცესში კითხვები წარმოიშვება, ესეც გაანალიზებული იქნება, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა მარგველაშვილმა.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამბობს, რომ კანონი მკაცრი იქნება ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ხელისუფლებაში ყოფნისას სახელმწიფო სახსრები მიითვისა. – კანონი იქნება მკაცრი ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახელმწიფო სახსრები მიითვისა. მიმდინარეობს გამოძიება და მინდა გითხრათ, რომ ის იქნება ძალიან გამჭვირვალე და ობიექტური. არც ერთი თანამდებობა, არც ყოფილი, არც ახლანდელი და არც მომავალი, არ არის იმუნიტეტი იმისა, წარსულში რომ ვიღაცამ დანაშაული ჩაიდინა, პასუხი არ აგოს, – განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, მაღალჩინოსნების დაკავებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები დაცული იყო.

რას მოგვიტანს ჟენევის მოლაპარაკებები

ნათია ხურცილავა

ჟენევის მოლაპარაკებების 24-ე ჩაუნდი საბოტაჟის ფონზე გაიმართა. შეხვედრა სოხუმისა და ცხინვალის ნარმომადგენლებმა დატოვეს, სნოჩედ მაშინ, ოდესაც მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა. მოლაპარაკებებზე ქართველმა მხარემ ოკუპანტი ძალის მიერ ცხინვალის ჩეგიონში მავთულხლართების გავლების საკითხი მკაცრად დააყენა. ჟენევაში საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ხელმძღვანელობდა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ზოგიერთი წევრის საბოტაჟის გამო საგარეო უწყება წუხილს გამოთქვამს. ჟენევის მოლაპარაკებების 25-ე რაუნდი 15-16 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების რიგით 24-ე რაუნდის ფარგლებში ჩატარდა ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილი და რომელთა ფარგლებშიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში – უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხები განიხილება.

– მოლაპარაკებებს ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები თანათავმჯდომარეობდნენ და ესწრებოდნენ მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ჟენევის მოლაპარაკებათა რიგით 24-ე რაუნდს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ისევე, როგორც ცხინვალისა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 25 ივნისს ჩატარდა საინფორმაციო სესია თემაზე „ცალმხრივ ვალდებულებათა მნიშვნელობა და როლი“. მოწვეულმა ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს ცალმხრივ დეკლარაციათა პირობები და ფორმები, რომლებიც ქმნის სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას. განხილვისას მოსკოვის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის სამართლებრივი ვალდებულების აღების მნიშვნელობა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა. მოლაპარაკებების პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მონაწილეებმა საქართველოდან თანათავმჯდომარეებს გააცნეს უსაფრთხოების კუთხით გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მშვიდობასა და სტაბილურობას. საქართველომ უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, მავთულხლართების გაბმის, მიწათხრილების მოწყობისა და ოკუპირებული ზონების გაფართოების გამო, რაც ეწინააღმდეგება 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ, უპირველესად, საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპებს. საქართველომ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს უკანონო ქმედებები, რასაც შედეგად მოსდევს უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის სერიოზული გაუარესება და ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი დარღვევები. აღნიშნულ კონტექსტში, თანათავმჯდომარეებმა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა მონაწილეებს მოუწოდეს, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმით გათვალისწინებული ინსტრუმენტები გამოიყენონ და ერთობლივი ვიზიტების განხორციელებას ორგანიზება გაუწიონ. პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების კუთხით გაუარესებული მდგომარეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულად განხორციელებისა და უსაფრთხოების ქმედითი საერთაშორისო მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. ადამიანთა დაკავების შემთხვევათა ზრდა მიუთითებს ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის სრული შემადგენლობით განახლების მნიშვნელობას. პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შეეხება ძალის გამოუყენებლობას. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა მონაწილეებმა 21-ე რაუნდზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს მოუწოდეს გაეგრძელებინათ მუშაობა „ძალის გამოუყენებლობის შესახებ განცხადების“ პროექტზე, რომელიც წარმოდგენილ იქნა თანათავმჯდომარეების მიერ. მონაწილეთა შორის მკვეთრად განსხვავებული პრინციპული პოზიციების მიუხედავად, საქართველომ გამოხატა დოკუმენტის შემუშავების პროცესში კონსტრუქციული მონაწილეობისთვის მზადყოფნა. ქართველმა მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აღნიშნულ საკითხზე პროგრესის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთი აიღებს ძალის გამოუყენებლობის სამართლებრივ ვალდებულებას, საქართველოს მიერ 2010 წელს ცალმხრივად აღებული ვალდებულების საპასუხოდ, რომელიც განმტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მხრიდან 2013 წლის მარტში.

მეორე სამუშაო ჯგუფში, მონაწილეებმა საქართველოდან ხაზგასმით აღნიშნეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმისა და ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული პრობლემების ქმედითად გადაწყვეტის მნიშვნელობა. საქართველოს მხარემ განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა ადამიანის უფლებათა მდგომარეობისა და ჰუმანიტარულ კონტექსტში ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონში მავთულხლართების გაბმისა და მიწათხრილების მოწყობის შედეგების გამო, რაც უარყოფითად მოქმედებს ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ზონებში მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, კერძოდ, მათი თავისუფლებისა და უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, თავისუფალი გადაადგილების, განათლების, და სხვა სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე. საქართველოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რუსეთი, როგორც საოკუპაციო ძალა, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის შესაბამისად, პასუხისმგებელია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. საქართველოს მხარემ ხაზგასმით აღნიშნა ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების შექმნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული წვდომის ხელშეწყობის უდიდესი მნიშვნელობა.

მეორე სამუშაო ჯგუფში, მოდერატორები მიესალმნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან ცალმხრივად გადადგმულ ნაბიჯებს. პოზიტიური შეფასება მიეცა წყალმომარაგების პროექტების დასრულებას. ხაზგასმით აღინიშნა მომავალში ნდობის აღდგენის მექანიზმების გაგრძელების მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ჟენევის მოლაპარაკებათა ზოგიერთმა მონაწილემ მეორე სამუშაო ჯგუფი დატოვა და სხვა ჯგუფში გადასვლა სცადა. საბოტაჟის ამგვარი მცდელობის ფონზე, რომლის მიზანი იყო შეხვედრების ჩატარების არსებული პრაქტიკის შეცვლა, თანათავმჯდომარეებმა მუშაობა შეწყვიტეს. საქართველოს მხარე მწუხარებას გამოთქვამს ზოგიერთი მონაწილის დესტრუქციული პოზიციის გამო, რამაც შეაფერხა სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მიმდინარე სამუშაო პროცესი და მონაწილეებს ხელი შეუშალა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, – ნათქვამია განცხადებაში.

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძესთან

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილს ამომრჩევლისთვის არასოდეს უკითხავს აზრი“

– როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს? რამდენად შესაძლებელია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა გაითავისონ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე?

– მათ შესანიშნავად იციან, როგორი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი ერის წინაშე. მათ ყველაზე კარგად იციან, ჩადენილი დანაშაულობების მცირე ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან, სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ზოგიერთი სხვა, საქართველოს კანონმდებლობით უვადო პატიმრობა არ ასცდებათ.

– ალბათ ამიტომაცაა, რომ ყველაფრის უარყოფის პოზიცია აქვთ არჩეული. რაც არ უნდა ფაქტი და მტკიცებულება დაუდო, ყველაფერზე იძახიან, ეს არაფერია, არაფერი ჩაგვიდენიაო.

– თქვენ დამასწარით, ისინი არა მარტო უარყოფენ ჩადენილს და აცხადებენ, არაფერი ჩაგვიდენიაო, პირიქით, მუდმივად გაიძახიან, სახელმწიფოს ვაშენებდით, მოდერნიზაციას ვახდენდით, კორუფციას ვებრძოდით, დემოკრატიასა და თავისუფლებას ვამტკიცებდითო. უფრო მეტიც, დამარცხების შემდეგ, პირველივე დღეებიდანვე დაიწყეს პოლიტიკური დევნილობის იმიჯსა და შარავანდედზე ზრუნვა. განსაკუთრებით დასავლეთს აწვდიან ვითარების მათეულ ინტერპრეტაციას, რომ ეს იყო დემოკრატიული ხელისუფლება, რომელმაც რეგიონში პირველებმა უზრუნველყვეს ხელისუფლების ცვლილება დემოკრატიული არჩევნების გზით, ნაცვლად კი მიიღეს პოლიტიკური დევნა, შევიწროვება, მასობრივი დაკითხვები, დაპატიმრებები და, როგორც სააკაშვილი ამბობს, საქართველოს უახლესი ისტორიის გასამართლება. მსგავს მოქმედებებს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გააგრძელებენ.

– ზოგჯერ, ისტორიის გასამართლება თუ პარტიის საქმიანობის გასამართლება მისი ნამოქმედარიდან გამომდინარე, ალბათ, აუცილებელიც კი ხდება.

– რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს – სპეციალისტები, პოლიტოლოგები, ექსპერტები, მეტ-ნაკლებად საქმეში ჩახედული ვინც არის, ყველა ვალდებულია მკვეთრად გამოხატოს თავისი მოსაზრება სააკაშვილის და სხვათა მოქმედებებთან დაკავშირებით.

– სხვათა შორის, ნაციონალები აპელირებენ ზოგიერთი პიროვნების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობის სურვილის შესახებ. ამაზე რასმუსენსაც დაუსვეს კითხვა, რასაც ნიშანდობლივი პასუხი მოჰყვა, რომ მასაც გასჩენია ზოგიერთი პარტიის გაქრობის თაობაზე აზრი და ამაში გასაკვირი არც არაფერიაო...

– მაგრამ ამას ამომრჩეველი წყვეტს, ვინ დარჩეს და ვინ – არაო. ჭეშმარიტად ასეა. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გასამართლდა მთლიანად ნაცისტური რეჟიმი.

– ისე, ამომრჩევლისთვის სააკაშვილს არასოდეს უკითხავს აზრი.

– ნურას უკაცრავად, სააკაშვილი ყოველთვის აცხადებდა, რომ ხალხის ნებაა მთავარიო.

– რეალურად, რასაც აკეთებდა, იმაზე მივუთითებ.

– სინამდვილეში კი, ასეა. რეალობა და მითოლოგია ერთმანეთისაგან განსხვავდება. დღესაც დასავლეთში სააკაშვილს ახსენებენ, როგორც პროდასავლურ პრეზიდენტს, რომელიც ბევრ რამეს აკეთებდა, რომ საქართველო წასულიყო პროდასავლური გზით და მომხდარიყო ქვეყნის დასავლეთთან იტეგრაცია. ესეც მითოლოგიაა, ტყუილია. საქმეში ჩახედულმა ამერიკელმა და ევროპელმა პოლიტოლოგებმა დაწერეს, რომ სააკაშვილი საქმით საპირისპირო პოლიტიკას ატარებდა. ის თავისი ქცევით სწორედ რუსულ საქმეს აკეთებდა საქართველოში. ყველაზე საშინელი მტერიც კი ვერ გაუკეთებდა საქართველოს იმას, რაც სააკაშვილმა გაუკეთა. მე ბევრის ციტირება შემიძლია. მიუხედავად ამისა, სრული დუმილია. ეს არის ელექტრონული მასმედიის დომინირების შედეგი. როცა ერთსა და იმავეს იმეორებს ადამიანი, შემდეგ საპირისპიროც რომ თქვას, მაინც ის რჩება.

– ბატონო პეტრე, დასავლეთში რატომ აწყობდათ სააკაშვილის პიროვნების მითოლოგიურ ბურუსში გახვევა და დაჯერება იმისა, რომ ის დიდ საქმეს აკეთებდა?

– ამ საკითხს არაერთი წერილი მივუძღვენი. მოკლედ რომ ვთქვათ – პრეზიდენტ ბუშის დოქტრინა რომ გამოცხადდა, თავისუფლებისა და დემოკრატიის დამკვიდრებაზე მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში, მაშინ მოხდა ფერადი რევოლუციები საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. ეს იყო თითქოს თვალსაჩინოება იმისა, რომ ბუშის დოქტრინა მოქმედებდა და იმარჯვებდა, მაგრამ შემდეგ ფერადი რევოლუციები დაჭკნა. ერთადერთი, სააკაშვილს ინარჩუნებდნენ სარეკლამოდ. საქართველოში მართლაც ვერავინ უარყოფს, რომ ბოლო მოეღო მასობრივ კორუფციას, მართლაც აშენდა ინსტიტუტები, სანიმუშო გახდა. ბალტიისპირელებიც აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი საპატრულო პოლიცია მათსას სჯობია. ბალტიის ქვეყნები ნატოს წევრი ქვეყნებია.

– საპატრულო პოლიცია არ იყო, ქუჩაში ბიჭებს ხვრეტდა? 150-ზე მეტი ახალგაზრდაა მოკლული ქუჩაში.

– ამ დახვრეტებს ეძლეოდა სხვა ინტერპრეტაცია. მათი ინტერპრეტაციით, ეს იყო დამნაშავეობასა და კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლა. ამ ბრძოლაში პოლიცია ზოგჯერ გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებას. შეგიძლიათ ნახოთ, რამდენი შემთხვევაა ასეთი დემოკრატიულ ქვეყნებში. ეს ასე იფარებოდა, მაგრამ ელიტარული კორუფცია რომ მძლავრობდა და ემყარებოდა სადისტურ სისტემას, იცოდნენ ერთეულებმა – დასავლელმა პოლიტოლოგებმა, პუბლიცისტებმა და წერდნენ კიდეც. შემდეგ ეს იწერებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში, ანგარიშებში. თუმცა, დასავლელი სახელმწიფო მოღვაწეები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ნატოსა და სხვა თავკაცები თვალს ხუჭავდნენ იმ ანგარიშებზე, რომელიც დასავლეთშივე იბეჭდებოდა. მათ არ აწყობდათ იმის თქმა, რომ საქართველოში ვითარება შეიცვალა, ავტორიტარული კლეპტოკრატია დამკვიდრდა და ვარდების რევოლუციაც დაჭკნა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო რთული იყო ელიარებინათ, რომ თავის დროზე მათ ეს ვერ შეამჩნიეს და ვერ თქვეს. რასმუსენიც გამოთქვამს თავის შეშფოთებასა და აღშფოთებას დაპატიმრებებთან დაკავშირებით.

– მგონი, რასმუსენი აღარ გამოთქვამს აღშფოთებას.

– 4 დღის წინ, უფრო ადრე გამოთქვამდა.

– ბოლო დროს, საქართველოში რომ იმყოფებოდა, რასმუსენი თავის აღშფოთებას აღარ გამოთქვამდა.

– ბოლო დროს არა, მაგრამ ადრე აღშფოთებული იყო. ზოგადად რასმუსენი და სხვები რატომ ხმას არ იღებდნენ მაშინ, როდესაც არა მხოლოდ საქართველოს ადამიანის უფლებათა დამცველები, საქართველოს ოპოზიცია და დამოუკიდებელი მასმედია, არამედ მათივე ორგანიზაციები, ევროპის საბჭოს წარმომადგენლები, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამერბერგი ამაზე განცხადებებს აკეთებდნენ.

– საქართველოში ბოლო ვიზიტისას რასმუსენის შერბილებული განცხადებები მოვისმინეთ. რამ გამოიწვია მისი აზრის ცვლილება?

– ეს არ არის ცვლილება. გამორიცხულია რასმუსენმა თქვას, ყველაფერი ვიცოდით, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რა უბედურება ტრიალებდა საქართველოში 2007 წლის ნოემბრის შემდეგ, ვიცოდი, რომ სააკაშვილმა განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა 2008 წლის აგვისტოშიო. ამას რასმუსენი ვერ ამბობს და, ფაქტობრივად, აკეთებს დიპლომატიურ განცხადებს, მაგრამ, ამავდროულად, ის ხედავს ახალი ხელისუფლების ძალისხმევას.

– სამეგრელოში ნაპოვნი „განძის“ (სამეგრელოში აღმოჩენილი ნაციონალების იარაღის, ვიდეოფირებისა და ნარკოტიკების სამალავი) პოვნამ ხომ არ შეუცვალა რასმუსენს აზრი? ალბათ, ამ ფაქტის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს.

– ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ სხვა მიზეზიცაა. სხვადასხვა ტიპის შეხვედრებზე პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ სხვები პირდაპირ ახდენენ მათ ინფორმირებას. ივანიშვილის ხელისუფლება ღიაა და პირდაპირ ეუბნება დასავლეთს, გამოგზავნეთ თქვენი ექსპერტები, დამკვირვებლები, დამოუკიდებლად შეისწავლონ ნებისმიერი საქმე, მერაბიშვილის იქნება, ახალაიასი თუ სხვების, შეისწავლონ ნებისმიერი დაკავება-დაპატიმრება და თვითონ გამოიტანონ დასკვნა, პოლიტიკური დევნაა თუ უბრალოდ, კანონის აღსრულება, ვინაიდან ახალ ხელისუფლებას არ აქვს არანაირი უფლება, დაარღვიოს კანონი და ხელი დააფაროს სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ეს მზაობა და ღიაობა ძალიან მოქმედებს. ივანიშვილმა ძალიან სწორი გააკეთა, რომ თავიდანვე ეს გზა აირჩია. ვინმე გვაკრიტიკებს, ეჭვი ეპარება რამეში? გამოუშვით ექსპერტები, შეამოწმეთ და თვითონ დარწმუნდით, აგერ არის მტკიცებულებები, აგერ არის ფირები. რომელმა უცხოელმა ამოიღო ხმა, როდესაც, ვარდების რევოლუციის შემდეგ, მასობრივი დაპატიმრებები ხდებოდა? როდესაც ყოფილი მაღალჩინოსნები მილიონებს იხდიდნენ? დღემდე არ არის გარკვეული, ვის, როდის, რამდენი გადაუხადეს. სამხედრო შესყიდვებით დაკავებული ფირმა რომ გამოისყიდის ყოფილ მინისტრს, 10 მილიონს გადაიხდის, ამას ხომ კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ, მაღალჩინოსნებს რომ აკავებდნენ, არავითარ მტკიცებულებასა და ბრალდებას არ წაუყენებდნენ ხოლმე, მაშინ სად იყო დასავლეთი? მე იმას კი არ ვამბობ, ის ადამიანები უდანაშაულონი იყვნენ (უდანაშაულონი თუ იყვნენ, მილიონებს საიდან იხდიდნენ), მაგრამ, აბა, ამოწიეთ ის საქმეები, მათ მიმართ პროკურატურას ბრალდება ჰქონდა? არავითარი. ყოველგვარი ბრალდების, ნივთმტკიცებისა და საფუძვლის გარეშე აპატიმრებდნენ. ეუბნებოდნენ, არავითარი მასალები თქვენს წინააღმდეგ არ გვაქვს, მაგრამ კეთილი ინებე, ფული გადაიხადე და გაგიშვებთ, არ გადაიხდით, არ გაგიშვებთო. ამაზე დასავლეთის რეაქცია ყოფილა? არავითარი. მაგალითად, მე ვიცი, რომ ჯოხთაბერიძე ისე დააკავეს, ისე მოხვდა ციხეში და ისე გამოუშვეს, რომ არავითარი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ის დაკავებული და ციხეში ნამყოფი იყო, არ შეუქმნიათ. ე.ი. პირი ჰყავდათ ციხეში დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე.

– გუშინ, რასმუსენისა და ნატოს წარმომადგენლობის ვიზიტის დროს, 15 თუ 20 კაცის დაკავება მიუღებელი ფორმებით, ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია არ იყო, როდესაც რასმუსენთან შეხვედრისთვის საკვები მიაწოდეს სააკაშვილს, რომელსაც არაფერი ჰქონდა სათქმელი?

– თავისი შედეგით ხელისუფლების გუშინდელი მოქმედება, რაც მე მოვისმინე მასმედიით (დაკავებები, ბორკილების დადება), რომ მოწმეებად სჭირდებოდათ, ეს არის პროვოკაცია და მიმართულია პირადად ივანიშვილის და მისი მთავრობის დისკრედიტაციისაკენ, მაგრამ მე არ ვიცი, ეს შეგნებული პროვოკაცია იყო ნაცისტური რეჟიმის ნარჩენების მიერ განხორციელებული, ვინაიდან ჯერ კიდევ ჰყავთ ნაცისტებს ხელისუფლებაში თავისი ერთგული ადამიანები, თუ ეს იყო კოორდინაციის კატასტროფული ნაკლებობა და სახელმწიფო იდიოტიზმის გამოვლინება.

– ისე, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ ფაქტის შესახებ, ამ დაკავებების შესახებ მისთვის არ იყო წინასწარ ცნობილი.

– დარწმუნებული ვარ, ასეა. ის არასოდეს ერევა. ეს მისი პრინციპია. მტკიცედ იცავს იმას, რომ პრემიერ-მინისტრს აქვს თავისი კომპეტენცია და არ უნდა ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც ეს არის მთელს მსოფლიოში, მაგრამ ის რაც გააკეთეს, თავისი ფორმით, პროცესუალური ნორმების დაცვით რომ გაეკეთებინათ, მე მხოლოდ მივესალმებოდი.

– თუმცა, მგონი, მაინცდამაინც იმ პირობებში ასეთი დაკავებები მიზანშეწონილი არ იყო.

– მაშინ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ სად შეუძლია გამომძიებელს, პროკურატურას, ელოდოს შესაფერის დროს. დღეს ნატოს სამიტია, ხვალ ბათუმში სხვა ღონისძიება და ელოდოს? ყოველდღე რაღაც ღონისძიებაა. თუმცა, ის რაც მოხდა ორი დღის წინ, არის დიდი დანაშაული, ან შეცდომა. პოლიტიკაში შეცდომა ზოგჯერ დანაშაულზე უარესია.

– მეორე მხრივ, რა უფლება აქვთ უგულავას, სააკაშვილსა და სხვებს, დაკავებების არასათანადო ფორმებზე აღშფოთებულები იყვნენ?

– მე შეგახსენებთ, რომ წლების განმავლობაში კეზერაშვილი პირადად აკონტროლებდა ფინანსურ პოლიციას. მეტიც, სამთავრობო წრეებში ცნობილი იყო და მუდმივად ლაპარაკობდნენ, რომელ თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო კეზერაშვილი, თუნდაც თავდაცვის მინისტრი (თავდაცვის მინისტრი იყო 2008 წლის აგვისტოშიც და შემდეგაც), მისი ძირითადი საქმიანობა იყო ფინანსური პოლიციის გაკონტროლება. ეს ევალებოდა მას. არ ვიცი, ახლა რამდენია კეზერაშვილის საქმეების შემსრულებელი ფინანსურ პოლიციაში, მაგრამ გუშინ მოხდა სრულიად შემზარავი რამ, თუნდაც ძალიან მასშტაბური დანაშაული ჰქონოდათ ჩადენილი, ისეთი მოქმედება გაუმართლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს პირადად ვეებერთელა თანხები აქვთ.

– ალბათ, ეს ფული საერთო ყულაბაში მიდიოდა, თორემ სააკაშვილი თვითონვე დააპატიმრებინებდა ამ ადამიანებს, მათთან შეთანხმების გარეშე ამხელა ფული რომ მიეთვისებინათ?

– ამხელა თანხების გამოტანა (როგორც ბოკერიას მიერ ნაღდი ფულის გამოტანა) ზემოდან ბრძანებით ხდებოდა. ეს ადამიანები ბრძანებას ასრულებდნენ. არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოუვიდოდა, მსგავსი ოპერაცია განეხორციელებინა.

– ანუ ეს დანაშაული ორგანიზებული იყო ხელისუფლების მაღალი ეშელონების მხრიდან?

– ამაში ეჭვი ნუ გეპარება. ფულზე სრული კონტროლი იყო. წყვეტდნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი. ზუსტად ვიცი, უგულავაც კი, კვირაში ერთხელ (ამისთვის ხუთშაბათი დღე იყო შერჩეული) ანგარიშს აბარებდა პირადად ადეიშვილს მერიის მიერ შესრულებული ფინანსური ოპერაციების თაობაზე და რამდენი შევიდა ე.წ. „ობშიაკში“. იქ ღებულობდა დავალებას შემდეგი კვირისათვის. ასე, კვირიდან კვირამდე, წლების განმავლობაში, ვითომდა არჩეული მერი, სრულიად მონამორჩილი იყო ადეიშვილსა. ასრულებდა იმას, რასაც ადეიშვილი უბრძანებდა.

ხანძრით დაზარალებულები მთავრობას შველას სთხოვენ

მთავრობის კანცელარია ერთობ „ცხელი წერტილია“ გაგანია ზაფხულში. ლამის ყოველდღე სხვადასხვა სოციალური ჯგუფები საკუთარ პრობლემებისადმი ყურადღების მიქცევას ცდილობენ და საპროტესტო აქციებს მართავენ. გუშინ კანცელარიის წინ სავაჭრო ცენტრ „საბას“ ხანძრის შედეგად დაზარალებული მოვაჭრეები შეიკრიბნენ, რომლებიც პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ.

26 თებერვალს გაჩენილი ხანძრის შემდეგ დაზარალებულები სამართლისა და დამნაშავის ძიებაში ჯერჯერობით ამაოდ ირჯებიან. დაზარალებულები უკმაყოფილებას არ მალავდნენ ფინანსთა მინისტრის მიმართ. მათი თქმით, მინისტრ ნოდარ ხადურთან შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო და დარწმუნებულნი არიან, რომ ხადური მათ ატყუებს. ამიტომ პრობლემაზე რეაგირებას პრემიერისგან მოელიან.

დაზარალებულებს კანცელარიის წარმომადგენელი მამუკა ასათიანი შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთმა დაზარალებულმა აღნიშნა, რომ კანცელარიის უფროსი დაუკავშირდა ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს, რომელმაც კვლავ გამოძიების დასრულების აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი.

როგორც „საბას“ მოვაჭრეებმა აღნიშნეს, მინისტრმა ხადურმა კვლავ ისაუბრა იმაზე, რომ გამოძიება აუცილებლად უნდა დასრულდეს, ვინმეს ბრალეულობა უნდა დადგინდეს ან, თუ ვერ დადგინდა ბრალეულობა, მაშინ სარეზერვო ფონდიდან უნდა მოხდეს დაზარალებულთა დახმარება. როგორც აქციის მოვაჭრეები ამბობენ, ფინანსთა მინისტრმა ძალიან კარგად იცის, რომ გამოძიება ძალიან ნელა მიმდინარეობს და არავინ იცის, როდის დასრულდება. მოვაჭრეთა თქმით, გამომძიებელიც ამბობს, რომ გამოძიება შეიძლება უსასრულოდ გრძელდებოდეს, რაც ყოვლად მიუღებელია აქციის მონაწილეთათვის.

დაზარალებულებს გადაწყვეტილი აქვთ, მანამდე არ გაჩერდნენ, სანამ პრემიერი მათთვის დროს არ გამონახავს და არ შეხვდება.

არასრულწლოვანებისთვის სპეციალური კოდექსი შეიქმნება?

უახლოეს მომავალში ქვეყანას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი ექნება. იუსტიციის სამინისტროს ამ კუთხით მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბრიუსელის მაღალი წარმომადგენლობითი დონის კონფერენციაზე ისაუბრა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს მიეძღვნა.

„პირველის“ ინფორმაციით, წულუკიანმა თავის გამოსვლაში იმ საქმიანობის შესახებ ისაუბრა, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო კანონთან პრობლემის მქონე არასრულწლოვანებთან მიმართებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით ახორციელებს, კერძოდ, პრევენციის, განრიდების, მედიაციის, უფროსი მეგობრის, ლიდერთა სახლის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებზე და სხვა. გარდა ამისა, მინისტრი კონფერენციის დელეგატებს იუსტიციის სამინისტროს ახალი და მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ ესაუბრა.

წულუკიანის განცხადებით, საქართველოსთვის დღეს მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს არასრულწლოვანთა სპეციალური კოდექსის შექმნა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს სისხლის სამართლის, მატერიალურ და საპროცესო ნორმებს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ „ამ ინიციატივის მიზანია, „იუნისეფთან“ და ევროკავშირთან თანამშრომლობით საქართველოში ევროპული სტანდარტის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა შეიქმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებზე. ბავშვები თავიანთი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარებით განსხვავდებიან ზრდასრული ადამიანებისაგან. სამართლის სისტემა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ითვალისწინებდეს მათ „განსხვავებულობას“. ეს კოდექსი თავის თავში გააერთიანებს საპროცესო და აღსრულების ნაწილებს და, რაც მთავარია, კოდექსში იქნება დათქმა, რომ არასრულწლოვანთა საქმეებზე იმ პროფესიონალებმა იმუშაონ, ვინც იცის კანონთან პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობა. მინისტრი პირობას დებს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით წაიყვანს ამ რეფორმას, რომლის დასრულების შემდეგაც ქვეყანას არასრულწლოვანთათვის თანმიმდევრული და დახვეწილი კოდექსი ექნება.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, მაღალი წარმომადგენლობითი დონის კონფერენციას ევროპის კომისიამ და „იუნისეფ“-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულმა ოფისმა ბრიუსელში 27-28 ივნისს უმასპინძლა. მასში მონაწილეობა მიიღეს ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობის წევრებმა, საკანონმდებლო ხელისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.

მერი ნამორაძე

ვის რა შანსები აქვს საპრეზიდენტო არჩევნებზე

თამარ ნინიძე

ჰოდის ინებებს საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის დანიშვნას მიხეილ სააკაშვილი ან საერთოდ ინებებს თუ არა, საქართველო მაინც ვერ ასცდება ამ არჩევნებს. ეს გარდაუვალი იქნება. მიხეილ სააკაშვილი იძულებული იქნება, არჩევნების თარიღი დანიშნოს და, იმედია, ეს მისი მხრიდან უკანასკნელი საარჩევნო თარიღის გამოცხადება იქნება პრეზიდენტის ამპარეაში. ოთხ თვეში სრულიად საქართველო მიხეილ სააკაშვილს ამ ჰოლში გამოემშვიდობება და ახალი პრეზიდენტის შეგუებას შეეცდება. საპრეზიდენტო კანდიდატები კი, ისევ, საკმარისად მოგვიოვდნენ.

ერთი რამ უნდა ითქვას: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ქალბატონები მონაწილეობის მხურვალე სურვილს გამოთქვამენ. პროფესორი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ნესტან კირთაძე, პოლიტიკოსი და ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბურჯანაძე და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ქაჯებზე გამოცდილი მონადირე სალომე ზურაბიშვილი – ამ ქალბატონების ვინაობა უკვე ცნობილია, რომელთაც სურთ, საპრეზიდენტო მარათონში საკუთარი ძალები მოსინჯონ და, ვინ იცის, გამარჯვებასაც გამოჰკრან ხელი. მართალია, ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტს ისეთი ფართო უფლებები აღარ აქვს, როგორიც ადრე ჰქონდა, მაგრამ ეს პოსტი მაინც მნიშვნელოვანია, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, ვიდრე პარლამენტში კონსტიტუციის რეფორმაზე მომუშავე ახალი კომისია ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო მოდელის ავკარგიანობაზე არ იმსჯელებს, სავარაუდოდ, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაიქმნება თუ კვლავ დარჩება საპრეზიდენტო რესპუბლიკად, ეს რეფერენდუმის საკითხი უნდა იყოს და ამ თემაზე მსჯელობა ფართო საზოგადოების საქმეა, იქამდე კი საპრეზიდენტო არჩევნები გველოდება, რომელიც დაძაბული დაპირისპირებების გარეშე, ალბათ, არ ჩაივლის.

ღღეს არსებულ კანდიდატურათა შორის ცნობილია, რომ კენჭის საყრელად ემზადებიან შალვა ნათელაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე და ნესტან კირთაძე, თუ, რასაკვირველია, ამ პოსტის მაძიებელთა რიცხვს ღეგენდარული როონ ლიპარტელიანი არ შეემატება. პოლიტიკურ სპექტრში არ ცხრება საუბარი იმაზეც, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა შეიძლება ლევან ვასაძემ და პაატა ბურჭულაძემაც მიიღონ. ლევან ვასაძე რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენია და რუსულ ორბიტაზე ტრიალებს. ის არც მალავს თავის სიმპათიებს კრემლის მიმართ, პაატა ბურჭულაძეს კი რა მიზეზით შეიძლება მოუნდეს პრეზიდენტობა, უცნობია. ის წარმატებული საოპერო მომღერალი და მსოფლიოში აღიარებული ბანია. მას პატივს სცემენ სამშობლოშიც მისი საქველმოქმედო საქმიანობის გამო, თუმცა, ეს საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში, მხოლოდ ბურჭულაძემ იცის.

შალვა ნათელაშვილი უბერებელი ღეიბორისტული პარტიის ლიდერია და მერამდენე არჩევნებში მონაწილეობს, ალბათ, თავადაც სათვალავი აერია. საკრებულოში ღეიბორისტებმა ადგილი მიხეილ სააკაშვილს რომ დაუთმეს, თანაც ნებაყოფლობით, ეს ამ პარტიისთვის საბედისწერო შეცდომა იყო, რომელიც მალევე ბუმერანგივით შეუბრუნდა და სხვა მომდევნო არჩევნებში ღეიბორისტების მარცხით გაგრძელდა. მას შემდეგ ინერციით ასე მოდის და ჯერჯერობით ვერც ერთ არჩევნებში ღეიბორისტებმა ვერ მოახერხეს საუკეთესო შედეგის ჩვენება, თუმცა შალვა ნათელაშვილი ახლა ისევ არჩევნებში მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, რომ პარტია ლამის თავზე ჩამოექცა. შალვას შანსებზე ახლა საუბარი ძნელია, მაგრამ ის ცდილობს დაა-

ფიქსიროს, რომ ცუდსა და უარესს შორის ამომრჩეველს მოუწევს მასზე არჩევანის გაკეთება, რომელია ცუდი და უარესი „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის, ეს ამომრჩევლის გასარკვევია, თუმცა ამას წინათ ერთ-ერთმა სტაჟიანმა ოპოზიციონერმა შალვასა და მის პარტიაზე გულისტკივილით გაგვიზიარა თავისი ეჭვები, შალვა ნათელაშვილი ნაცმოძრაობასთან საკმაოდ მჭიდრო კოაბიტაციაშია და ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის დამაქცევრად წარმოაჩინოს. ამ ოპოზიციონერს თუ დავუჯერებთ, ნათელაშვილმა მოულოდნელად საგარეო სიმპათიები დასავლეთის სასარგებლოდ დაიფიქსირა და „ქართული ოცნება“ მოსკოვთან საეჭვო კეკლუცობაში დაადანაშაულა, ამას წინათ კი ნათელაშვილმა ამერიკაში ვიზიტის წარმატებებზეც გაამახვილა ყურადღება და მისი დასავლური კურსისადმი სიმპათიები გაგვიმხილა, არადა, კურიოზია, ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ნაცმოძრაობის ზენიტში ყოფნისას შალვა ნატოს წინააღმდეგ გამოდიოდა და საქართველოს ნეიტრალიტეტზე საუბრობდა.

დასავლური კურსის პოლიტიკური პარტიები ჯერ არ ასახელებენ საპრეზიდენტო კანდიდატებს, თუმცა უკვე ვრცელდება ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მათი კანდიდატურები გიორგი თარგამაძე და აკაკი ასათიანი იყვნენ. ზოგიერთი ბეჭდური გამოცემა იუწყება, რომ აკაკი ასათიანისკენ იხრებიან პაატა დავითაია და ბაჩუკი ქარდავა. გიორგი თარგამაძეს კი კახა კუკავა უჭერს მხარს. საინტერესოა, რა კრიტერიუმებით შეიძლება იხელმძღვანელოს მედიამ, როცა ასეთ ვარაუდებს გამოთქვამს, იმიტომ, რომ აკაკი ასათიანი მაინცდამაინც არასოდეს ამჟღავნებდა ნატოსკენ სწრაფვას, მიუხედავად ამისა, ბაჩუკი ქარდავას აზრით, აკაკი ასათიანი კარგი კაცი და კარგი პატრიოტია, ეს სადავო საკითხი არ არის, ამაზე კამათი ჩვენი საქმე არ არის, ქარდავა იხსენებს აკაკი ასათიანისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარსულში კარგ ურთიერთობებს, ამის მოწმენი ჩვენც ვიყავით, როცა ტრადიციონალისტების წევრი ჯერ კიდევ იყო მაია ნადირაძე, გარკვეულ ალიანსზე იყო საუბარი ტრადიციონალისტებსა და ედპ-ს შორის და მაია ნადირაძე აკაკი ასათიანთან ერთად მოლაპარაკებებს მართავდნენ ეროვნულ-დემოკრატებთან. ქარდავა ამბობს, „მე მხარს ვუჭერიმპოლიტიკურ ფიგურას, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთისგან საქართველოს დისტანცირება მნიშვნელოვანია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის“. კარგი იქნებოდა, ბაჩუკი ქარდავას აკაკი ასათიანის პრესისთვის მიცემული ინტერვიუებისთვის გადაევლო თვალი და გარკვეული დასკვნები გამოეტანა ასათიანის ნატოსადმი სიმპათიებთან დაკავშირებით.

საერთოდ, კურიოზია ის, რომ კუკავა გიორგი თარგამაძეს უჭერდეს მხარს. გიორგი თარგამაძე დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსია, ასე იცნობს მას პოლიტელიტა და საზოგადოება, კუკავა კი რუსეთთან საქართველოს დაახლოების მომხრეა. რა მიზეზით შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს კუკავამ თარგამაძეს დაუჭიროს მხარი საპრეზიდენტო არჩევნებში, გაურკვეველია.

ასეა თუ ისე, დასავლური ორიენტაციის პარტიებმა, ალბათ, მალე თავად უნდა გაარკვიონ, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას საერთო საპრეზიდენტო კანდიდატურის დასახელებაში და ვინ იქნება მათი რჩეული. იმ შემთხვევაში, თუ პაატა დავითაიას პარტია, „ახალი მემარჯვენეები“, ედპ და ქრისტიან-დემოკრატები საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილს არ გამოთქვამენ, ეს თავად მათთვის იქნება საზიანო.

ღღეს კი პოლიტიკური ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურიც გაიმართება და მხოლოდ ორ კანდიდატს აქვს გამარჯვების შანსი – ბურჯანაძესა და მარგველაშვილს. მარგველაშვილს ზურგს უმაგრებს „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ამ შემთხვევაში საკმაოდ წონადია, ბურჯანაძეს კი ზურგს უმაგრებენ ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში რეპრესირებულნი და დაზარალებულნი აღმოჩნდნენ და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ. ადამიანების ეს კატეგორია არცთუ ისე მცირეა და ისინი ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის ე.წ. კოაბიტაციას ერთმნიშვნელოვნად არ ემხრობიან, მეტიც, სრულიად გაუგებრად მიაჩნიათ კოაბიტაცია არაერთ დანაშაულში ეჭვმიტანილ პოლიტიკურ ძალასთან.

დაბოლოს, ნაციონალებს სრული კრახი ელოდებათ არჩევნებში. აცნობიერებენ თუ არა ამას, ეს ერთი საკითხია, მაგრამ მეორეა რეალობა და ის, რომ დრო მათ სასარგებლოდ არ მუშაობს, მეტიც, სრული მარცხის მიზეზები საკუთარ მმართველობაში უნდა მოიძიონ და მათი ტრაგედია ის არის, რომ ბოდიშსაც არ იხდიან.

ბუტა რობაქიძის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილის დაკითხვას ითხოვენ

შორენა კოწოწაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი გახმაურებული საქმის – ბუტა რობაქიძის საქმის განხილვა გრძელდება. რობაქიძის ოჯახის წევრები დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ და კიდევ ერთხელ აფიქსირებენ, რომ მათი განცხადებები დადასტურდა მკვლელობის ღამეს გადაღებული და გავრცელებული ვიდეოფირების დამონტაჟებასთან დაკავშირებით ამერიკის ფედერალური საგამოძიებო სამსახურიდან მოსული ექსპერტიზის შედეგებით. ამერიკიდან მოსულ დოკუმენტში მითითებულია, რომ ფირს 25 ჭრა აქვს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ამ საქმესთან დაკავშირებით არაერთი არასწორი ჩვენება გავრცელდა. წინა ხელისუფლების პირობებში კი ყველაფერი გაკეთდა, რათა არ დასჯილიყვნენ პოლიციის ის მაღალჩინოსნები, რომლებმაც 19 წლის ბუტა რობაქიძის მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის მასალების ფალსიფიცირება განახორციელეს.

აღსანიშნავია, რომ რობაქიძის ოჯახის წევრები ყოველთვის აპროტესტებდნენ საქმის არასწორ გამოძიებას, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარ სასამართლოს განაჩენს და დამნაშავე მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდნენ. მათ შორის რობაქიძის მამა, სოსო რობაქიძე, ასახელებდა გურამ დონაძის, ზურაბ მიქაძისა და სხვათა გვარებს.

სამართლიანობის აღდგენის პროცესში განახლებული გამოძიების ეტაპზე რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით ზურაბ მიქაია სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული, რომელიც შემდგომ 20 ათასის ლარის გირაოს სანაცვლო წინასწარ პატიმრობიდან გათავისუფლდა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე მხარეებმა მტკიცებულებები წარმოადგინეს და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ აუცილებელია ირაკლი ოქრუაშვილის – მაშინდელი შს მინისტრის მოწმის სახით დაკითხვა. ოქრუაშვილის მოწმის სახით დაკითხვას ბრალდების მხარე გეგმავს. პროკურორის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი ერთ-ერთია, რომელიც საქმის არსებითი განხილვისას უნდა დაიკითხოს.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ სასამართლოს სხდომას თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 ბრალდებული დაესწრო: ირაკლი ფირცხალავა, ზურაბ მიქაძე, ალექსანდრე გვაზავა, დავით იაშვილი და გურამ დონაძე. რაც შეეხება საქმეში ბრალდებულ მეექვსე პირს, ზაზა ბაქრაძეს, გავრცელებული ინფორმაციით, ის საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფება და ძებნილია.

სასამართლო პროცესს არ დაესწრნენ და სასამართლო დარბაზი დატოვეს ბუტა რობაქიძის ბიძამ და მამამ, სოსო რობაქიძემ. რაც შეეხება თავად ბრალდებულებს, ხუთივე ბრალდებულმა ერთხმად აღნიშნა, რომ ისინი ბრალს არ აღიარებენ. ხუთივე ბრალდებულს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 19 წლის ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის საქმისთვის პატრული გრიგოლ ბაშალეიშვილი იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. მას სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბაშალეიშვილმა უკვე მოიხადა სასჯელი და დღეს ის თავისუფალია.

„ცენტრ პოინტის“ ახალი თაღლითური გეგმა

საქართველო განებივრებულია პოლიტიკური სკანდალებით, თუმცა ისეთით, როგორიც „ცენტრ პოინტის“ სამშენებლო სკანდალს ეხება ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას არ ახსოვს. „დიღმის ოაზისი“, ისევე, როგორც ბევრი სხვა პროექტი, „ცენტრ პოინტს“ შეუსრულებელი დარჩა. 6,200-მდე ოჯახის მიერ ბინების მშენებლობისთვის გადახდილი 310 მლნ აშშ დოლარი ფუჭი აღმოჩნდა. დახვეწილი პირამიდა „პონზის“ სქემის მეშვეობით, „ცენტრ-პოინტი“ ჯგუფმა ათასობით კლიენტი დაარწმუნა ჯერ კიდევ ასაშენებელი ბინების არსებობაში, შემდეგ კი მათი გადახდილი თანხა არამიზნობრივად გამოიყენა, შესაბამისად, მოქალაქეებმა მათ მიერ გადახდილი თანხები და ბინებიც დაკარგეს. ამ სკანდალში მონაწილეობდნენ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები. „ცენტრ-პოინტის“ ჯგუფის დამფუძნებლების სტატუსი და კავშირები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაკომპლექტებულ მთვარობაში ბადებს ეჭვს, რომ ეს კავშირები მათ დაეხმარათ თავიდან აეცილებინათ პირადი პასუხისმგებლობა კლიენტებისთვის მიყენებულ ზარალისთვის. ზემოთ აღნიშნული ჯგუფი 70 კომპანიისგან შედგებოდა, მათ შორის 55 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და 15 ამხნაგობა იყო, რომელიც საქართველოში სამ ადამიანს ეკუთვნოდათ და ეკუთვნით: ვახტანგ რჩეულიშვილს, მაიარჩეულიშვილს, რუსუდან კერვალიშვილს.

2011 წელს „ცენტრ-პოინტი“ ჯგუფის მიერ დაზარალებულმა კლიენტებმა არასამთავრობო ორგანიზაცია „დაზარალებულთ მენაშენეთა“ ასოციაცია შექმნეს. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი არა მარტო დაუსრულებელი ბინების ან ზარალის შესაბამისი კომპენსაციის მიღება იყო, არამედ ამ პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებმაც მათთვის ბინების ჩაბარების პირობა ვერ უზრუნველყვეს. ამ მიზნით დაზარალებულმა კლიენტებმა სხვადასხვა სამთავრობო უწყებაში ათეულობით წერილი გააგზავნეს. მათ შორის იმ დროინდელი მთავარი პროკურორის, იუსტიციის მინისტრის და დეპუტატების სახელზე.

„დაზარალებულ მენაშენეთა ასოციაციის“ განცხადებით, არც-ერთ ამ წერილს მთავრობის მხრიდან რაიმე კონკრეტული ქმედება არ მოჰყოლია. დაზარალებულებმა მხოლოდ ერთი საპასუხო წერილი მიიღეს წინა ხელისუფლების დროინდელი პროკურატურის მესვეურთაგან, სადაც ეწერა, რომ „ცენტრ-პოინტი“-ს ჯგუფის საქმიანობა სისხლის სამართლის ნიშნებს არ მოიცავს, შესაბამისად, დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება.

ამ მდგომარეობაში ვითომდა სიტუაციის მხსნელად, გვევლინება ახალი კომპანია „დექსუსი“, რომელიც როგორც შემდეგ ირკვევა, რეალურად თბილისის მერიის მფარველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაცია აღმოჩნდა. „დექსუსი“ მალევე სატელევიზიო ეთერს ახალი სარეკლამო რგოლებით იპყრობს და ძველ მსხვერპლთან ერთად ახალსაც ეპატიჟება და მოუწოდებს, „შეიძინონ ოცნების ბინები საუკეთესო პირობებით დაბალ ფასად“. ამ სკანდალური ისტორიის შესახებ გთავაზობთ იტერვიუს დაზარალებულ პირთა ადვოკატ მარინა კორძაძესთან.

– დღევანდელი რეალობით სისხლის სამართლის საქმე წარმოებაშია თუ არა?

– გამოძიება დაწყებულია თაღლითობის და მითვისების კუთხით. პროკურატურამ საკუთარ ვებ-გვერდზე ოცამდე დანაშაულის ფაქტი დაადასტურა და გამოაქვეყნა. აღნიშნულის გამო პროკურატურამ 22 ობიექტი დააყადაღა, რათა დანაშაულს გავრცობითობა არ მისცემოდა, თუმცა ამ გამოძიების ფონზე „ცენტრ-პოინტი“ კვლავ აგრძელებს დანაშაულის ჩადენას და თვალთმაქცურ საქმიანობას.

– კონკრეტულად, რა თავალთმაქცურ საქმიანობას აწარმოებს „ცენტრ-პოინტი“ დღეს?

– „ცენტრ პოინტის“ მხრიდან დღეს აც ხორციელდება მორიგი თვალთამქცური და თაღლითური ხელშეკრულებების დადება და დაზარალებულების მოტყუება. მათ შეიმუშავეს ახალი თაღლითური გეგმა. ისინი აფორმებენ დაზარალებულებთან არ არსებულ ვალის აღიარების ხელშეკრულებას, რაც არის კლასიკური დანაშაული. დაზარალებულმა მენაშენეებმა უნდა გაითავალისწინონ, რომ ზიანის ანაზღაურების და ვალის აღიარების ხელშეკრულება ურთერთსხვაობრივი დოკუმეტებია. ჩემთვის ცნობილია, რომ „ცენტრ პოინტმა“ ასეთი ხელშეკრულება უკვე გაფორმა სამ დაზარალებულთან. მათი გეგმაა დაშალონ მენაშეთა გაერთიანება.

– ჩაიბარა თუ არა „დექსუსმა“ ქონება „ცენტრ პოინტისგან“ აუდიტის საფუძველზე და რამდენად გამჭვირვალე იყო ეს პროცესი?

– ოფიციალურად „დექსუსმა“ მენეჯმეტი აუდიტის შედეგად გადაიბარა, რომლის შედეგადაც დაფიქსირდა, რომ 6,200–მდე მენაშენის დაკმაყოფილება მოხდებოდა და აღიარა ვალის დარღვევა „ცენტრ პოიტის“ მხრიდან. თუმცა აქ არ დაისვა ყველაზე მთავარი შეკითხვა, სად წავიდა 300 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც ვალდებულების დარღვევის ოქმით უნდა შემდგარიყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დექსუსმა“ მიზანმიმართულად განაგრძო შეთანხმებული ხელშეკრულების დანაშაულებრივი გაგრძელება.

– თუ არის თქვენთვის ცნობილი, ვინ მართავდა რეალურად „დექსუს“?

– „დექსუს“ მართავდა წინა ხელისუფლების პროკურატურისა და მერიის მაღალჩინოსნები.

– ამით ხომ არ აიხსნება ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება პრობლემის მიმართ?

– ხელისუფლების უმოქმედობის შედეგად ვერ დაადგა საშველი რეალური

გამოძიების ჩატარებას. მეტსაც გეტყვით, ტელევიზიაში სტუმრობისას ჩემ მიერ დასმულ შეკითხვაზე ვახტანგ რჩეულიშვილთან თუ სად გაქრა თანხები, მის პასუხში ირიბი მინიშნება გაკეთდა ქალაქის მერზე. ფაქტობრივად, ამ საქმის გამოძიება დაიწყო 2012 წლის არჩევნების შემდეგ.

– რა მოლოდინი გაქთ გამოძიების დასრულებისას შემთხვევაში?

– ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება ტესტია მიუკერძოებლობის, რომლის შედეგი იმედია, დაზარალებულ მენაშენეთა პრობლემების მოგვარებას რეალურს გახდის.

მედიაინფო

ნელსონ მანდელა გარდაიცვალა

სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას ნათესავების გადაწყვეტილებით, აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გამორთეს. ნელსონ მანდელა 94 წლის ასაკში გარდაიცვალა, იუწყება „გარდიან ექსპრესი“.

მანდელას გარდაცვალების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ გავრცელებულა. სამხრეთ აფრიკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯეიკობ ზუმამ ოთხშაბათს საღამოს განაცხადა, რომ ექს-პრეზიდენტის მდგომარეობა კრიტიკულია.

94 წლის ნელსონ მანდელა ფილტვების ინფექციის გაუარესების გამო 8 ივნისს იქნა ჰოსპიტალიზებული. გასული წლის დეკემბრიდან მანდელა საავადმყოფოში უკვე მეოთხედ დაანწვინეს. ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემები ექს-პრეზიდენტს ციხეში 27 წლიანი პატიმრობის შედეგად დაეწყო. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მანდელა ტუბერკულიოზით დაავადდა.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ისტორიაში პირველი შავკანიანი პრეზიდენტი ნელონ მანდელა ქვეყანას 1994-1999 წლებში მართავდა. ის აპარტეიდების არსებობის პერიოდში, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მებრძოლი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აქტივისტი იყო, რის გამოც ციხეში 27 წელი გაატარა. 1993 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ნელსონ მანდელა 1918 წლის 18 ივლისს დაიბადა.

მანდელას ცნობილი გამონათქვამებია:

„იყო თავისუფალი არ ნიშნავს მხოლოდ მარწუხების და ბორკილებისგან გათავისუფლებას, არამედ ცხოვრებაში დაოფასო სხვისი
თავისუფლება და გაავრცელო ის“.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

შალვა ფიფია: „საქართველო ახალ ბაზრებს ეძებს“

შორენა კოწოწაშვილი

რამდენად სამართლიანი კრიტიკა ისმის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისამართით და რა გეგმები აქვს მთავრობას რუსულ ბაზართან მიმართებით? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიასთან.

– ბატონო შალვა, საკმაოდ საპასუხისმგებლო და რთული ამოცანის წინაშე დგახართ; ერთი მხრივ, პრემიერის ინტერესები უნდა დაკმაყოფილოთ და წარმატებული აგრარული რეფორმა ჩაატაროთ, მეორე მხრივ, სოფლის მოსახლეობაც კმაყოფილი დატოვოთ. ამ ფონზე ხართ საკმაოდ სერიოზული დარტყმის ობიექტი საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან. სამართლიანი კრიტიკა ისმის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ?

– ყოველთვის მივესალმები ჯანსაღ კრიტიკას. ამას წინათ პარლამენტში საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრა და კრიტიკის მოსმენა მომიწია, თუმცა ის კრიტიკა, რომელიც საპარლამენტო უმცირესობისგან მოდიოდა, ჯანსაღი ნამდვილად არ იყო. როდესაც ოპონენტისგან არაჯანსაღი კრიტიკა მოდის და ვიღაც გეუბნება, შენ შეეკარი მაღაზიებს და იმათთან კორუფციულ გარიგებაში შეხვედი, ეს აბსურდია. 884 მაღაზიაა, ყველა სასოფლო-სამეურნეო მაღაზია, რომელიც ამ საქმეში იყო ჩართული და სურვილი გამოთქვა, „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში“ იყო ჩართულიყო. ძალიან მნიშვნელოვანია ითქვას, რომ პარლამენტში ჩემი გამოსვლისას იყო ადამიანი, სოფელ გვიშტიბის რწმუნებული, რომელიც საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა საგანგებოდ მოიყვანეს. ეს ადამიანი წამოდგა და ასეთი რამ თქვა: მე არ ვიცოდი, რომ თქვენ აქ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის გასაკრიტიკებლად მომიყვანეთ. ამ ადამიანის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, ძალიან მადლობელი ვარ მათი, იმიტომ, რომ ეს დახმარება იყო ძალიან ქმედითი და მთელი ჩვენი სოფელი არის კმაყოფილი. ჩემთვის ეს იყო ის რეალობა, რაც მართლაც არის ქვეყანაში. ის კრიტიკა, რაც ნაცმოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან ისმოდა, იყო არაჯანსაღი. ვიმეორებ, ჯანსაღ კრიტიკას მივესალმები. მინდა, აუცილებლად აღვნიშნო, რომ ჩვენმა სამინისტრო მთელი ამ რვა თვის მანძილზე, რაც ჩვენ მცირემიწიან ფერმერთა დახმარებისა და სხვა პროექტებს ვახორციელებთ, ჩვენ გაცილებით მეტი ვისაუბრეთ იმ ხარვეზებზე, რაც ამ პროექტს ახლდა, ვიდრე სხვა ვინმემ. გაცილებით ადრე დავიწყეთ ჩვენ ამაზე საუბარი და გაცილებით უფრო ინფორმირებულები ვიყავით, ვიდრე ვინმე სხვა იყო. შესაბამისად, ობიექტურ კრიტიკას ნამდვილად მივიღებ. ვიცი, რომ იყო პრობლემა აღრიცხვიანობაში, არ იყო ინფორმაცია. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ზოგი რწმუნებულისგან არ მოხდა სათანადო და ხარისხიანად ინფორმაციის მოწოდება. თუმცა, რეალობა არის ასეთი: 710 ათასმა ოჯახმა, რაც არის პრაქტიკულად მოსახლეობის თითქმის ნახევარი, პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო დახმარებით დაამუშავა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ისინი შემოსავალს მიიღებენ. ეს არის რეალობა ანუ მათ პირდაპირი დახმარება მიიღეს.

– ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელმა კობახიძემ სატელევიზიო კომენტარში მიუთითა, ვერ გავიგეთ, ამ ქვეყანაში აგრარულ პოლიტიკას ვინ განსაზღვრავსო.

– ნებისმიერ ადამიანს აქვს კრიტიკის უფლება. მე ეს განცხადება არ მსმენია, თუმცა ბატონმა კობახიძემ შეიძლება შეღავათიანი აგროსესხი ვერ მიიღო და ამიტომ არის განაწყენებული.

– ის ამბობს, რომ პრიორიტეტებს ბანკები განსაზღვრავენ.

– არა. ეს ასე არ არის. სესხების გაცემას და ადმინისტრირებას, რაღა თქმა უნდა, ბანკები ახდენენ. ეს ასეც უნდა იყოს. სახელმწიფოს საქმე არ არის სესხების გაცემა და ადმინისტრირება. ჩვენ გვაქვს ჩვენი საქმე. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ცუდი მაგალითი სახელმწიფოს მხრიდან სესხების გაცემისა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. სესხების გაცემა და ადმინისტრირება არის იმ ფინანსური ინსტიტუტების საქმე, რომლებსაც ამაში შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ. სახელმწიფოს საქმე ამ პროექტში არის ის, რომ ჩვენი გავიზიარეთ რისკები. შევუმცირეთ რეალურად რისკები იმ რეალურ აგრომესსახებლებს, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი და საშუალება აგროსესხის მომსახურებისა. თუმცა, როცა ვსაუბრობ ამ პროექტის ირგვლივ, ყოველთვის ხაზს ვუსვამ: ეს არ არის საქველმოქმედო პროექტი; ეს არის ბიზნეს-პროექტი. ეს ადამიანები იღებენ სესხს. კი ბატონო, შეღავათიანი პირობებით. ჩვენ ვიხილეთ ადამიანი, რომელმაც შეღავათიანი აგროსესხი აიღო. მას წლიური 1% გამოსდის. ძალიან დაბალი პროცენტია ნებისმიერი საზომით, თუნდაც ნებისმიერი ქვეყნის საზომით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს თანხა საჩუქარია. მათ უნდა შეძლონ საკუთარი ბიზნესის საშუალებით ამ კრედიტის მომსახურება.

– ექსპერტები მკაფიოდ აფიქსირებენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს გლეხების ინფორმირება, რომ მათი მიწების მოხვნა – ეს არის ერთჯერადი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან და გლეხი მუდმივად არ უნდა იყოს სხვის დახმარებაზე დამოკიდებული.

– მესმის, რასაც ამბობთ. ეს პროექტი მხოლოდ რაღაც პერიოდი იქნება. ჩვენ გლეხებს საშუალება მივეცით, მიეღოთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დახმარების მხოლოდ რაღაც ნაწილი. სრულად არ მოხდა დაფინანსება, რადგანაც თითოეული ამ ბენეფიციარის მიწების დამუშავება, ჩემი გადმოსახედიდან – ეს არის თანამონაწილეობითი პროექტი, სადაც როგორც ჩვენი დახმარებაა, ისე ფერმერის მონაწილეობა. დამუშავებული მიწების უმრავლესობაზე დაითესა სხვადასხვა კულტურა. დათესვა ჩვენი პროგრამის ნაწილი არ იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მათ სათესლე მასალის შეძენის საშუალება მივეცით, დათესვის ოპერაცია კი მათ საკუთარი ძალებით ჩაატარეს. ისინი აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას.

– სოფლის მოსახლეობა გაისადაც ხომ არ ითხოვს მთავრობის დახმარებას – მიწების მოხვნას?

– ჩვენ გვაქვს სისტემური მიდგომა. ეს არ არის მხოლოდ ცალკე აღებული საგაზაფხულო დახმარების პროექტი. ეს ასე არ უნდა განვიხილოთ. ჩვენ ვავითარებთ საჯარო სიკეთეებს, როგორიც არის, მაგალითად, მელიორაცია. თქვენ ნახეთ რეაბილიტირებული არხი, რომლითაც წყალი 25 სოფელს მიეწოდება. ჩვენ ვავითარებთ კრედიტზე ხელმისაწვდომობას შეღავათიან ფასში. შევქმენით საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სადაც ფერმერები და გლეხები მიიღებენ კონსულტაციას, თუ რა მოიყვანონ ყველაზე ეფექტურად საკუთარ ნაკვეთებში. ვქმნით საკანონმდებლო ბაზას, რათა ფერმერებმა შეძლონ, ეფექტურად აწარმოონ თავიანთი საქმიანობა, იგივე, ვთქვათ, კოოპერაციის კანონი, რომელიც პარლამენტშია. იმედი გვაქვს, გლეხები ჩაერთვებიან კოოპერაციის პროცესში და მოახდენენ მიწების კონსოლიდაციას.

– არის თუ არა ამ მოკლე პერიოდში ის შედეგი, რასაც მთავრობა ელოდა რუსეთთან ეკონომიკური კუთხით გადადგმული ნაბიჯებისგან? პოლიტიკოსთა ნაწილი მიანიშნებდა, რუსეთის ბაზრის დაბრუნება კარგია, ოღონდ, გაიჩნია, რა უნდა დავთმოთ ამის სანაცვლოდ.

– ნუ შევხედავთ ამას პოლიტიკურ ჭრილში. ჩვენ ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. რუსეთი 2011 წლის დეკემბრიდან არის მსო-ს წევრი. აქ საუბარია დამატებით ბაზარზე, საკმაოდ საინტერესო და მასშტაბურ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის. ალკოჰოლური სასმელები, ღვინო და მინერალური წყლები უკვე გავიდა რუსულ ბაზარზე. რამდენიმე დღის წინ იქნა მიღწეული შეთანხმება, რომ რუსულ ბაზარზე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაც შევა. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მწარმოებლებისთვის.

– თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსულმა ინვესტიციებმა იკლო. რუსული მხარე ბოლომდე არ ენდობა ახალ მთავრობას?

– ალბათ, ჩემგან სწორი არ იქნება ამის ამ ჭრილში შეფასება. რატომ იკლო, ანდა, იკლო თუ არა რუსულმა ინვესტიციებმა. ინვესტიციებთან, ნებისმიერთან, დღეს პრობლემა არ არის, იქნება ეს რუსული თუ სხვა ქვეყნის. არ ვიცი, როგორია ტენდენცია, იკლო თუ არა. ყველაფერი გამოიკვეთება უახლოეს მომავალში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი რაც არის და ჩვენი უწყება ამაზე მუშაობდა – ეს იყო იმ ემბარგოს მოხსნა, რომელიც აიხსნა.

– ქართული პროდუქციის გასაღებისთვის რუსული ბაზარი მნიშვნელოვანია, თუმცა ექსპერტები ამ ბაზრის უცებ ჩაკეტვასაც არ გამორიცხავენ, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. მათი თქმით, საქართველოს მთავრობამ ისიც უნდა გათვალოს, უცებ რომ ჩაკეტოს რუსეთმა ბაზარი, რამხელა ზარალი იქნება იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც პროდუქცია შეიტანეს და შესაბამისი სამუშაოები აწარმოეს.

– მესმის, რასაც ამბობთ. ასეთი პრობლემა მოლდოვას დაუდგა თავის დროზე. თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია: ქართველმა მეღვინეებმა, ღვინოზეა აქ ძირითადად საუბარი, ემბარგოს არსებობის პირობებშიც შეძლეს და მთელ რიგ ბაზრებზე დაიმკვიდრეს თავი. ნამდვილად არ მაქვს იმის მოლოდინი და არც არა მგონია, რომელიმე მწარმოებელს ჰქონდეს, რომ მათ ეს რომელიმე ბაზარი უნდა დაკარგონ, პირიქით, ეს არის ერთი დამატებითი ბაზარი, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ახალი ათვისებული ბაზრები დაიკარგება. ასე რომ, არ არის მოლოდინი, რომ მთლიანად ეს სეგმენტი ბიზნესისა, ჩამოეკიდება რუსულ ბაზარს. ასე არ იქნება.

– ახალი ბაზრების მოძიების კუთხით რა ინტერესები იკვეთება ქართულ აგროპროდუქტებთან მიმართებით?

– მთელი რიგი ბაზრები ყველა მიმართულებით, მათ შორის ახალი ბაზრები, საინტერესო ბაზრები, ვთქვათ, იგივე ჩინეთის მიმართულებით, ღვინის ექსპორტი მიმდინარეობს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარია. თავისთავად არ არის პანაცეა მხოლოდ რუსული ბაზრის ათვისება, ამაზე არა ვართ დამოკიდებული. ეს არის ერთი დამატებითი, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ბაზარი. ჩვენ გვინდოდა, ემბარგო ყოფილიყო მოხსნილი, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები ვართ ჩვენც და რუსეთიც. დღეის მდგომარეობით, ემბარგო მოხსნილია, რაც მისასალმებელია და კარგია ქართველი მწარმოებლებისთვის.

20 ყველაზე წარმატებული ტრანსფერი ფეხბურთის ისტორიაში

საფეხბურთო სამყაროში სატრანსფერო ბაზარი კლუბების წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ნაყოფია. ფეხბურთელთა სწორი სელექციის, მისი ნიჭის ადრეული დანახვისა და დაბანდების შემთხვევაში კლუბები დიდ ფინანსურ მოგებაზეც გადიან. სწორედ 20 ასეთი ტრანსფერი გვინდა გავიხსენოთ.

20. „ბენფიკა“ და აკსელ ვიტცელი
იყიდა: 9 მლნ ევროდ „სტანდარტისგან“
გაყიდა: 40 მლნ ევროდ „ზენიტში“
მოგება: 31 მლნ ევრო
„ზენიტის“ პრეზიდენტი ალექსანდრ დიუკოვი:
– გარიგება ხელსაყრელი პირობებით შედგა. 40 მილიონს 3 წლის განმავლობაში გადავიხდით, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ბიუჯეტს ამით ბევრი არაფერი მოაკლდება. ამ თანხის გადახდას ვერც კი ვიგრძნობთ“.
ჰმ, 40 მილიონი თუ დიდი თანხა არ არის, მაშინ 9 მილიონზე რა უნდა ითქვას?
19. „მილანი“ და ტიაგო სილვა
იყიდა: 10 მლნ ევროდ „ფლუმინანსეედან“
გაყიდა: 42 მლნ ევროდ პსჟ-ში
მოგება: 32 მლნ ევრო
ტიაგოს შეძენა მოსკოვის „დინამოს“ სურდა სარეკორდო ვადით, 7 წლით. მას შემდეგ რაც, ფეხბურთელი პსჟ-ში გადავიდა, მისით ბევრი ტოპ-კლუბი დაინტერესდა, მათ შორის, მადრიდის „რეალიც“, მაგრამ სილვას მეუღლემ უარი განაცხადა მადრიდში ცხოვრებაზე.
18. „შახტარი“ და ფერნანდინიო
იყიდა: 7,8 მლნ ევროდ „ატლეტიკო პარანენსეედან“
გაყიდა: 40 მლნ ევროდ „მანჩესტერ სიტიში“
მოგება: 32,2 მლნ ევრო
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნიდან პირველად გაიყიდა ამ ფასად ფეხბურთელი. 28 წლის ფერნანდინიო „სიტის“ ფეხბურთელია.
სერგეი პალკინი:
– რინატ ახმეტოვმა თქვა, რომ ის ფეხბურთელში 50 მლნ ითხოვდა, მაგრამ იმ პირობით დააკლო ფასი, რომ „სიტის“ ხელმძღვანელობა ფეხბურთელს ისეთ კონტრაქტს შესთავაზებდა, რომ ფეხბურთელს ახალ კლუბში თავი ბედნიერად ეგრძნო.
17. „არსენალი და მარკ ოვერმარსი
იყიდა: 7,5 მლნ ევროდ „აიაქსიდან“
გაყიდა: 40 მლნ ევროდ „ბარსელონაში“
მოგება: 32,5 მლნ ევრო
ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ფეხბურთელი „არსენალიდან“ „ბარსელონაში“ ჯერ კიდევ მაშინ გადავიდა, როდესაც კლუბი არც ისე დამაჯერებლად ასპარეზობდა – 2000 წელი.
16. „ვოლფსბურგი“ და ედინ ჯეკო
იყიდა: 4 მლნ ევროდ „ტეპლიცედან“
გაყიდა: 37 მლნ ევროდ „მანჩესტერ სიტიში“
მოგება: 33 მლნ ევრო
ედინ ჯეკო „ვოლფსბურგმა“ საკმაოდ იაფად შეიძინა. ფეხბურთელმა თავი ძალიან მალე გამოიჩინა და სეზონში 26 გოლი გაიტანა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 37 მილიონ ევროდ „სიტის“ საკუთრება აღმოჩნდა.
15. „ბილბაო“ და ხავი მარტინესი
იყიდა: 6 მლნ ევროდ „ოსასუნადან“
გაყიდა: 40 მლნ ევროდ „ბაიერნშიი“
მოგება: 34 მლნ ევრო
„ბილბაომ“ 17 წლის ახალგაზრდა მარტინესში 6 მილიონი გადაიხადა. 6 წლის შემდეგ კი „ბაიერნმა“ გარისკა და ფეხბურთელში 40 მლნ ევრო გაიმეტა. როგორც ამბობენ, რისკმა გამართლება ჰპოვა. ხავი მარტინესმა პირველივე სეზონიდან დაიწყო მასში ჩადებული ინვესტიციის გამართლება.
14. „არსენალი“ და ნიკოლა ანელკა
იყიდა: 0,76 მლნ ევროდ პსჟ-დან
გაყიდა: 35 მლნ ევროდ „რეალში“
მოგება: 34,24 მლნ ევრო
„არსენალმა“ ფრანგი თავდამსხმელი 760.000 ევროდ შეიძინა, ეს მიზერული თანხაა იმასთან შედარებით, რომელსაც ანელკაში შემდგომ იხდიდნენ. 2 წლის შემდეგ კი „რეალმა“ ფრანგში 46-ჯერ მეტი თანხა გადაიხადა.
13. „სევილია“ და დანი ალვეში
იყიდა: 0,55 მილიონად „ბაიადან“
გაყიდა: 35,5 მლნ ევროდ „ბარსელონაში“
მოგება: 34,95 მლნ ევრო
ტრანსფერით შემოსულმა თანხამ „სევილიას“ ბიუჯეტი 64-ჯერ გაზარდა. ბრაზილიელმა ცრემლები ვერ შეიკავა, როდესაც კლუბს ტოვებდა:
– „სევილიაში“ ჯერ კიდევ ბავშვი მოვედი აქედან კი კაცი და მამა მივდივარ. ძალიან მტკივა გული. მინდა მადლობა გადავუხადო კლუბს იმისთვის, რომ ყველაფერი მომცა.
12. „პალერმო“ და ხავიერ პასტორე
იყიდა: 7 მლნ ევროდ „ურაკანადან“
გაყიდა: 42 მლნ ევროდ პსჟ-ში
მოგება: 35 მლნ ევრო
მაურიციო ჯაკერინიმ პასტორეთი ბიუჯეტი საკმაოდ შეივსო. მას მოგება 35 მლნ ევრო დარჩა.
11. „პორტუ“ და ჰალკი
იყიდა: 19 მლნ ევროდ „ტოკიო ვერდედან“
გაყიდა: 55 მლნ ევროდ „ზენიტში“
მოგება: 36 მლნ ევრო
„პორტუმ“ ჰალკი ორ ეტაპად შეიძინა. 2008 წელს „ტოკიო ვერდეს“ პორტუგალიურმა კლუბმა 5.5 მლნ ევროდ შეიძინა, თუმცა ფეხბურთელზე უფლებები „რენისტასსაც“ ჰქონდა, ამიტომ მათ კომპენსაციის გადახდაც მოუხდათ ურუგვაულ კლუბისთვის. შემდეგ კი გრანდიოზულ ფასად „ზენიტს“ მიჰყიდა.
10. „ფიორენტინა“ და რუი კოშტა
იყიდა: 5,5 მლნ ევროდ „ბენფიკადან“
გაყიდა: 42 მლნ ევროდ „მილანში“
მოგება: 36,5 მლნ ევრო
1994 წელს „ფიორენტინამ“ პორტუგალიელ ლეგენდაში 6 მილიონი ევრო გადაიხადა. მაშინ ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო. ფეხბურთელი „იების“ სიმბოლოდ გადაიქცა მას შემდეგ, რაც მასთან ერთად 7 სეზონი გაატარა. ამის შემდეგ კი „მილანში“ მოუწიათ მისი გაყიდვა ფინანსური პრობლემების გამო. „როსონერის“ ისტორიაში ეს ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერია დღემდე.
9. „პორტუ“ და ხამეს როდრიგესი
იყიდა: 7,35 მლნ ევროდ „ბანფილდადან“
გაყიდა: 45 მლნ ევროდ „მონაკოში“
მოგება: 37,65 მლნ ევრო
ხამეს როდრიგესისთვის ორი კლუბი იბრძოდა – „უდინეზე“ და „პორტუ“, მაგრამ მოგებული ეს უკანასკნელი აღმოჩნდა. კლუბმა ხელშეკრულებაში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი ჩაწერა – ვინც კი მოისურვებდა ფეხბურთელის ყიდვას, მასში 45 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა და ეს კლუბი ფრანგული „მონაკო“ აღმოჩნდა.
8. „ლაციო“ და პაველ ნედვედი
იყიდა: 3,5 მლნ ევროდ „სპარტადან“
გაყიდა: 41,2 მლნ ევროდ „იუვენტუსში“
მოგება: 37,7 მლნ ევრო
„ლაციომ“ უკანასკნელად სკუდეტო მაშინ მოიგო, როდესაც კლუბის ლიდერი პაველ ნედვედი იყო. 2001 წელს „იუვემ“ ერთ-ერთი ლიდერი ზიდანი გაყიდა და მის შემცვლელს აქტიურად ეძებდა. სწორედ ჩეხზე შეაჩერეს ტურინელებმა არჩევანი და 40 მილიონი ევროც გადაიხადეს. კლუბთან ერთად მან 8 დიდებული წელი გაატარა და მაშინაც კი არ დატოვა გუნდი, როდესაც „ბებერი ქალბატონი“ სერია ბ-ში დაქვეითდა.
7. „პორტუ“ და ფალკაო
იყიდა: 5,43 მილიონად „რივერ პლეიტიდან“
გაყიდა: 47 მლნ ევროდ „ატლეტიკოში“
მოგება: 41,57 მლნ
ფალკაო „პორტუს“ ყველაზე მომგებიანი ფეხბურთელია დღემდე. მისით „არსენალი“ და „მანჩესტერიც“ კი იყვნენ დაინტერესებული. „რივერ პლეიტიდან“ 5.43 მილიონად იყიდა და დღემდე სარეკორდო თანხად გაასხვისა. ეს ყველაზე დიდი ტრანსფერია კლუბის ისტორიაში.
6. „ინტერი“ და ზლატან იბრაჰიმოვიჩი
იყიდა: 24,8 მლნ ევროდ „იუვენტუსიდან“
გაყიდა: 69,5 მილიონად „ბარსელონაში“
მოგება: 44,7მლნ
ზლატან იბრაჰიმოვიჩი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია ფეხბურთის ისტორიაში. საერთოში კლუბებმა მასში 171 მლნ ევრო გადაიხადეს. ფეხბურთელით კი ყველაზე დიდი მოგება „ინტერმა“ ნახა. მილანელებმა სერია ბ-ში მოასპარეზე „იუვენტუსიდან“ 25 მილიონად იყიდა შვედი და მასთან ერთად სამჯერ მოიგო „სკუდეტო“ ბოლოს კი „ბარსელონაში“ გაყიდა 69,5 მლნ ევროდ და ბონუსად სამუელ ეტოც მოჰყვა, რომელთან ერთადაც კლუბმა ჩემპიონთა ლიგა მოიპოვა.
5. „პარმა“ და ერნან კრესპო
იყიდა: 4 მილიონად „რივერ პლეიტიდან“
გაყიდა: 55 მილიონად „ლაციოში“
მოგება: 51 მლნ
საუკუნის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი იყო სერია ა-ში. „ლაციომ“ „პარმას“ არგენტინელში 55 მილიონი ევრო გადაუხადა. კრესპომ კლუბში 2 წელი გაატარა და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.
4. „მილანი“ და კაკა
იყიდა: 8,25 მილიონად „სან-პაულოდან“
გაყიდა: 65 მილიონად „რეალში“
მოგება: 56,75 მლნ
2003 წელს ლეონარდოს რეკომენდაციით „მილანმა“ 8 მილიონად კაკა შეიძინა. ეს იყო ყველაზე დიდი თანხა ბრაზილიურ კლუბში გადახდილი, რომელიც ევროს სახით მიიღო კლუბმა. კაკა „როსონერის“ უამრავი ტიტულის მოგებაში დაეხმარა. 2007 წელს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. 2009 წელს „რეალმა“ ფეხბურთელში 65 მილიონი ევრო გადაიხადა.
3. „ბარსელონა“ და ლუის ფიგუ
იყიდა: 2,5 მილიონად „სპორტინგიდან“
გაყიდა: 60 მილიონად „რეალში“
მოიგო: 57,5 მლნ
პორტუგალიის დიდებული თაობის ფლაგმანში „ბარსამ“ 2,5 მილიონი გადაიხადა. ფიგუმ კლუბთან ერთად 2-ჯერ მოიგო ჩემპიონატი, ფანების საყვარელი მოთამაშე გახდა, 200 წელს კი რეკორდულ 60 მილიონად „რეალმა“ შეიძინა. ეს ტრანსფერი დღემდე ითვლება ყველაზე სკანდალურ ტრანსფერად ფეხბურთის ისტორიაში.
2. „იუვენტუსი“ და ზინედინ ზიდანი
იყიდა: 3,5 მილიონად „ბორდოდან“
გაყიდა: 73,5 მილიონად „რეალში“
მოგება: 70 მლნ
3,5 მილიონი ზინედინ ზიდანში – გასაგიჟებელი ციფრია. ზიდანმა 5 წელი გაატარა ტურინში და საფრანგეთის გმირობასთან ერთად 2-ჯერ მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო. 2000-01 წლებში ფეხბურთელმა კლუბი დატოვა და „რეალში“ გადავიდა სათამაშოდ, სადაც მის სახელს ძალიან ბევრი ტიტული დაუკავშირა. მათ შორის ჩემპიონთა ლიგა. აქ მესამედ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.
1. „მანჩესტერ იუნაიტედი“ და კრისტიანუ რონალდუ
იყიდა: 17,5 მილიონად „სპორტინგიდან“
გაყიდა: 94 მილიონად „რეალში“
მოგება: 76,5 მილიონი
ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში და ყველაზე წარმატებულიც. ალექს ფერგიუსონმა გარკვეულად გარისკა, როდესაც ახალგაზრდა რონალდუში დაახლოებით 18 მილიონი გადაიხადა და ფეხბურთელს 7-ნომრიანი მაისურიც მოარგო. მანჩესტერელთა შემადგენლობაში პირველი და დღემდე ერთადერთი „ოქროს ბურთი“ მოიგო. 2009 წელს „რეალმა“ ფეხბურთელში ყველაზე დიდი თანხა 94 მილიონი ევრო გაიღო.

გიორგი შაშიაშვილი: „ყველანი „დინამოს“ სამსახურში ვართ“

გიორგი შაშიაშვილი „დინამოში“ 17 წლის ასაკში გამოჩნდა. 10 წლის წინ შესრულებული დუბლის დროს იგი „დინამოს“ კაპიტანი გახლდათ. შემდეგ მცირე ხნით ისევ დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს და ახლა ხანგრძლივი განშორების შემდეგ ისევ დინამოელია.

მასთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– გიორგი, 3 წლის მანძილზე თამაშობდი დაცხოვრობდი ავსტრიაში. ეს გარემო შენთვის უცხო არ უნდა იყოს.

– ავსტრიის ულამაზეს მხარეში ვიმყოფებით. იდეალური ადგილია, ცნობილი კურორტი, ოცნებობს ხალხი აქ მოხვედრაზე. ამიტომაც აქაურობას შეკრების ადგილად არა მხოლოდ კიევის „დინამო“ და შახტარი ირჩევს, არამედ ბევრ სხვა ცნობილ კლუბსაც გაუვლია აქ შეკრება.

– შეკრების ეკვატორი გადალახულია, ორი სპარინგიც ითამაშეთ. როგორ შეაფასებდი განვლილ შეხვედრებს?

– ორი ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ უკრაინული ფეხბურთის ორ გრანდთან. ორივე შემთხვევაში, ვფიქრობ, გუნდის თამაში დადებითად უნდა შეფასდეს. კიეველებთან ფრე თავისუფლად შეიძლებოდა. „შახტარი“ კი საერთოდ იშვიათად აგებს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო გახლდათ ოლეგ ბლოხინის შეფასება, რომელმაც, ისევე, როგორც „შახტარის“ ფეხბურთელებმა, ჩვენი გუნდის ათლეტიზმსა და მაღალ ფიზიკურ მომზადებას გაუსვეს ხაზი. ქართულ გუნდებს ყოველთვის უჭირდათ ამ კომპონენტში და ერთგვარი დამღაც გვქონდა – მუდმივად ფიზიკურად მოვიკოჭლებდით. სხვადასხვა ქვეყნებში მითამაშია და ყველგან გვახასიათებდნენ, როგორც ტექნიკური და ჭკვიანი ფეხბურთის მიმდევრებად, მაგრამ ფიზიკურ მომზადებას მუდამ გვიწუნებდნენ.

– ნაწილობრივ უპასუხე მომდევნო კითხვას, ბევრ სხვადასხვა სტილის მიმდევარ მწვრთნელთან გიმუშავია. დუშან უჰრინის მიდგომა რით განსხვავდება?

– დუშან უჰრინმა შეძლო გუნდის ფიზიკურად კარგად მომზადება და შეძლო მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურობის შენარჩუნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ისევე, როგორც ყველა მწვრთნელს, მასაც განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვა აქვს, რომელმაც უკვე მოგვიტანა შედეგი – ჩემპიონობა და თასი.

– 10 წლის წინ „დინამომ“ ითამაშა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. შენ იმ გუნდის წევრი იყავი. რა პარალელებს გაავლებდი?

– მაშინაც და ახლაც გუნდში გარკვეული სინთეზი იყო გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების. ახლაც ასეა, მაგრამ დღევანდელი გუნდი იმით გახლავთ უკეთესი, რომ ჩვენი გუნდის ღირსებას ლეგიონერებიც იცავენ, რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან.

– რა არის დღევანდელი „დინამოს“ მთავარი პლუსი?

– ალბათ, ის, რომ გუნდში, ფაქტობრივად, იდეალური სიტუაციაა. მეგობრული და, ამავდროულად, საქმიანი ატმოსფეროა. ყველამ იცის, რა და როგორ უნდა აკეთოს. ყველა ერთ საქმეს აკეთებს. ხელმძღვანელები, ფეხბურთელები – ყველანი „დინამოს“ სამსახურში ვართ. გუნდში სამაგალითო დისციპლინაა. საყოფაცხოვრებო საკითხებში წესრიგი მოედანზეც გადადის. ძალიან მეგობრული კოლექტივი შეიკრა, სადაც ყველა რგოლში მაღალი კონკურენციაა, რაც გუნდის ზრდაში დიდ როლს თამაშობს. მთავარი კი ის გახლავთ, რომ გუნდში ყველა პირობაა წარმატებისთვის. ბევრ უცხოურ გუნდში მითამაშია და, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ასეთი თანამედროვე ბაზა არსად მინახავს, ჩვენი კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა კლუბი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდეს და პროგრესირებდეს. ჯერ ინფრასტრუქტურა, შემდეგ წარმატება საქართველოში. ვნახოთ, რა იქნება მომდევნო ნაბიჯი.

– წილისყრის შედეგებმა ყველანი ოპტიმისტურად განგაწყო.

– შეიძლება, შედარებით სუსტი გუნდი შეგვხვდა და ვალდებული ვართ, ეს ეტაპი გავიაროთ, მაგრამ დიდი ხანია ვთამაშობ და ვიცი, რომ მეტოქის შეუფასებლობა არ შეიძლება. ჩვენ ვიცით, რა კატეგორიის მოწინააღმდეგე გვეყოლება, მაგრამ ფეხბურთელები და ყველანი საუბრებში სულ იმას ვამბობთ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან სრული მობილიზაცია და კონცენტრაციაა საჭირო. მოწინააღმდეგე თავის ქვეყანაში საუკეთესოა. უნდა გამოვიდეთ და ჩვენი თამაში ვითამაშოთ. ვინც იქნება მოედანზე, ბოლომდე დაიხარჯება და თავის საქმეს გააკეთებს. ჩვენ ასეთი განწყობა გვაქვს.

– რას ეტყვი „დინამოს“ გულშემატკივარს?

– „დინამოს“ ისტორია, ტრადიციაა და მხოლოდ „დინამოს“ ფორმა გვავალდებულებს გამარჯვებას. ქართველი ხალხი „დინამოს“ წარმატების მოლოდინშია. სხვა ქართულ გუნდებსაც ჰქონდათ ლოკალური წარმატებები, მაგრამ ჩვენი თანამემამულეებისთვის „დინამო“ ქართული ფეხბურთის სახეა. ჩვენგან გულშემატკივრები წარმატებებს ელიან და ვეცდებით, ისინი არ გავაწბილოთ. ბევრი ძლიერი მეტოქე გვეყოლება, მაგრამ „დინამო“ დღეს ის გუნდია, რომელსაც შესწევს ძალა, საკუთარი თავი ღირსეულად წარმოაჩინოს.

მოამზადა
მისეილ ჟორჟოლიანმა

მერაბ თავაძე: „კანონდარღვევით და უსამართლოდ მოგხსნეს“

ეკა ირემაშვილი



რეჟისორი და მსახიობი მერაბ თავაძე სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებულია. შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრს“ და სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმს“ ამიერიდან ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. მერაბ თავაძის თანამდებობა 55 წლის ამერიკის მოქალაქე გელა ენდრიუ სულიმ (სულიკაშვილი) დაიკავა.

მერაბ თავაძის თქმით, ეს არის სასაცილო დოკუმენტი და იურიდიული ნონსენსი.

– მე მგონი ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც ესა თუ ის ადამიანი, რომელიმე თანამდებობაზე თავის თავს თვითონვე ნიშნავს. გელა ენდრიუ სულმა მე გამათავისუფლა „ქართული ფილმის“ დირექტორის თანამდებობიდან და ამ თანამდებობაზე თვითონვე დანიშნა თავისი თავი. ეს ყველაფერი გაფორმებულია ერთი ბრძანებით, – ამბობს უკვე ყოფილი დირექტორი.

საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ თავაძე სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორის თანამდებობაზე 6 მარტს დაინიშნა. სამი თვის შემდეგ კი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ის თანამდებობიდან გათავისუფლდა.

მერაბ თავაძის თქმით, თანამდებობიდან მოხსნამდე, „ქართულ ფილმში“ უშუალოდ მისი მიწვევით აუდიტი შევიდა და 2007-2012 წლების საქმიანობის შესწავლა დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში „ქართულ ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი ხელმძღვანელობდა. გაჩნდა ვერსია, რომ სოსო ჯაჭვლიანმა გელა სული სპეციალურად მოიწვია ამერიკიდან და მისი ხელით მერაბ თავაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა.

„ახალმა თაობამ“ ის ბრძანებაც მოიპოვა, რომლის საფუძველზეც მერაბ თავაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა და მას უცვლელად გთავაზობთ:

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ თბილისი, ახმეტელის №10ა ს. კ. 400051199 ბრძანება 17 ივნისი 2013 წელი. სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორის, ბატონი მერაბ თავაძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და დირექტორად ბატონ გელა ენდრიუ სულის დანიშვნის შესახებ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვბრძანებ:

1) 17 ივნისიდან გათავისუფლდეს სს „ქართული ფილმის“ (ს/კ 202054196) დირექტორი მერაბ თავაძე (პირადი ნომერი 01008011755) დაკავებული თანამდებობიდან და სს „ქართული ფილმის“ მხრიდან მოხდეს მერაბ თავაძის მიმართ ერთი თვის შრომის ანაზღაურების გადახდა 1.600 (ათას ექვსასი) ლარის ოდენობით;

2) სს „ქართული ფილმის“ (ს/კ 202054196) დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს გელა ენდრიუ სული (პ/ნ 457960212 დაბადებული 1.09.1958);

3) დაევალოს სს „ქართული ფილმის“ დირექტორს (გელა ენდრიუ სულის) უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;

4) ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე გადაწყვეტილება სს „ქართული ფილმის“ აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად;

5) გაუქმდეს ძველი ელ-ფოსტა და ახალ ელ-ფოსტად დარეგისტრირდეს გელა-სული ჰოტმაილ.ქომ.

შპს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი გელა ენდრიუ სული“.

მერაბ თავაძე, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ ყოფილი დირექტორი:

– არ ვიცი, ეს ამბავი საოცრად მაკვირვებს. მთელი თბილისი და მთელი საქართველო მიცნობს. ბევრი დარჩა გაკვირვებული, გაოცებული და კიდევ რომ დავამატოთ, აღშფოთებულიც. ასეთი რაღაცები არ კეთდება.

– რა გახდა თქვენი მოხსნის მიზეზი?

– ეს არის აბსოლუტური კანონდარღვევა, უსამართლობა, არავითარი მიზეზი ამის არავის არ ჰქონდა. სამი თვეა სულ დანიშნული ვარ, მეტი კი არა. თუ მიზეზი არსებობს, შეიძლება ადამიანი თანამდებობიდან გაათავისუფლო ერთი თვის განმავლობაშიც კი. თუ არანაირი მიზეზი არ არის და ეს არის უბრალოდ ვიღაცების ხუშტური, მაშინ სხვა საქმეა. ის პიროვნება, ვინც ეს გააკეთა, საერთოდ არ მიცნობს, შეხვედრილიც არ ვარ ამ ადამიანთან. ეს არის ვიღაცის გაკეთებული. ეს სასამართლო საქმეა და ყველაფერს სასამართლო გაარკვევს.

– აპირებთ მიმართოთ სასამართლოს?

– მე თვითონ არ ვაპირებ, მაგრამ იქ არის ძალიან დაჟინებული მოთხოვნა, რომ ეს გაკეთდეს, იმიტომ, რომ ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი. ეს ძალიან დიდი დანაშაულია.

– რას გულისხმობთ?

– სუფთა კრიმინალი არის გაკეთებული. ეს ძალიან ფართო თემაა და აჟღერდება ყველაფერი. რაც ვთქვი, ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, იმედია, ჩემში ეჭვი არ გეპარებათ. ნამდვილად არანაირი სუბიექტურობა არ მამოძრავებს. ჩვენ საქმე გვაქვს დანაშაულთან, ძალიან სერიოზული დანაშაულია ჩადენილი. ვინც მოვიდნენ ჩემთან იურისტები, თავისი ნებით, არავითარი მოწვევა არ მქონია, უამრავი ადამიანია ჩემი ნაცნობი და რომ მოვიდნენ ეს იურისტები, გადაავლეს თვალი ამ ყველაფერს, თქვეს, რომ ეგეთი აბსურდი საქართველოში ჯერ არ ყოფილაო. ეს პირველი შემთხვევაა, რომელსაც გაუგებარი შემთხვევა შეიძლება ვუწოდოთ.

– რა გახდა ამის მოტივაცია?

– მოტივაცია და მიზანი არის ძალიან მარტივი. 4-5 წელიწადი ვიბრძოდი იმისთვის, რომ ის 1/3, რომელიც ეკუთვნოდათ აქციონერებს, დაგვებრუნებინა. საქმეში უკეთ რომ გაგარკვიოთ, გეტყვით, რომ „ქართული ფილმის“ 2/3 ეკუთვნოდა სახელმწიფოს და 1/3 ეკუთვნოდათ „ქართული ფილმის“ თანამშრომლებს.

– რამდენი თანამშრომელი ფლობს 1/3-ს?

– 2886 კაცია აქციონერი. ეს აქციები ფულადი აქციები კი არ არის, ეს არის წილი. ეს ყველაფერი უცებ რაღაც მოვლენის, ძალიან დიდი დანაშაულის გამო გაიყიდა და ჩაიბარა საკაშვილის მთავრობამ. უხეშად რომ ვთქვათ, დაითრია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

– თქვენც იყავით აქციონერი?

– რა თქმა უნდა. 19 წლიდან კინოსტუდიაში ვარ. იმდენად დაზუსტებით უნდა მოხდეს ამ ყველაფრის აღწერა, რომ დეტალურად არის სასაუბრო. ჩემი გათავისუფლების მიზეზი ის გახდა, რომ ვითხოვდი 1/3-ის დაბრუნებას „ქართული ფილმის“ თანამშრომლებისთვის და შემოვიყვანე „ქართულ ფილმში“ აუდიტი. ხომ გესმით, ეს რას ნიშნავს? დაიწყო ყველაფრის საფუძვლიანი შესწავლა, რამაც ძალიან შეაშინა ადამიანები და გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ჯობია დროზე მოვაშოროთ, თორემ ძალიან ბევრი რაღაცები აღმოჩნდება კრიმინალიო.

– შეწყვიტა აუდიტმა მუშაობა?

– არა, აუდიტი მუშაობას აგრძელებს. ამის შეწყვეტა არ შეიძლება, ხელშეკრულებაა გაფორმებული და თვეზე მეტია მუშაობენ.

– იცით ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?

– რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ამის დაკონკრეტებას არ ვაპირებ.

– გაქვთ გამარჯვების იმედი სასამართლოში?

– საერთოდ რომ არ მივმართო არავის და არც სასამართლოს, ეს ფაქტი იურიდიულად იმდენად აბსოლუტური დარღვევით არის, თვითონ გაიკვლევს გზას, თუმცა, როგორც წესი, უნდა მიმართო რაღაცას, რომ რეაგირება მოხდეს.

– როდის მიიღეთ ბრძანება?

– 19 ივნისს მივიღე ბრძანება, რომ გათავისუფლებული ვარ და იმ ახლად დანიშნულმა დირექტორმა, რომელსაც საერთოდ შეხვედრილიც არ ვარ, არც ნანახი მყავს და არც დალაპარაკებული ვარ, თავისი თავი დაინიშნა ბრძანებით ჩემს ადგილზე. ე.ი. თვითონ არის დირექტორი და ბრძანება გამოსცა, რომ ვინიშნები ამ ადგილზე დირექტორად და გამოდის, რომ ორჯერ დირექტორია. აქ მთავარი იცით რა არის? რადგანაც „ახალ თაობას“ დიდ პატივს ვცემ, მომეცა საშუალება, უფრო მეტი გითხრათ: საქართველოს ორი მოქალაქის ადგილას დაინიშნა ერთდროულად ერთი ამერიკის მოქალაქე. გესმით, რანაირი ნონსესია? ამერიკის ერთი მოქალაქე ჩამოვიდა, მართალია ქართველია, მაგრამ 22 წელია ცხოვრობს ამერიკაში, ამ ადამიანმა დაიკავა საქართველოს ორი მოქალაქის ადგილი.

– არ იცნობთ გელა სულის?

– არ ვიცნობ.

– პროფესიით ვინ არის?

– კომაროვი თუ რაღაც ჰქონია დამთავრებული, რაღაც ბიზნესი აქვს თავისი და სარეკლამო კომპანიებში მუშაობდა. ჩემი მოხსნა ვინმე საქართველოს მოქალაქის მიერ იქნებოდა ძალიან ცუდი, ამიტომ გამოიყენეს ადამიანი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე. ძალიან საინტერესო ფრაზა თქმულა: ვინ არის მერაბ თავაძე, იცით და არ ვიცით, მას უთქვამს. მერე, თურმე მის ახლობლებს უჩვენებიათ ჩემი ფილმი „თოჯინები იცინიან“ და იქიდან გაიგო ვინ ვარ.

– არ გიცდიათ მასთან შეხვედრა ან თვითონ არ ჰქონია თქვენთან საუბრის სურვილი?

– არავითარი. რაზე უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს? ცოტა უცნაური სიტუაციაა. იურისტები და ადვოკატები თვითონ იღებენ ამ საქმეს და ბევრმა გამოთქვა სურვილი მისი წარმართვის, იმიტომ, რომ მართლა სენსაციური საქმეა. ეს არ არის მარტივი საქმე, რადგან ეს არ არის კრიმინალი ისეთი, როგორიცაა მკვლელობა; ეს არის ნონსენსი, რომელიც შეიძლება ძალიან სასაცილოდ აგორდეს. ეს მოვლენა არც კანონში და არც არაფერში არ ჯდება. მით უმეტეს, დღევანდელ დღეს, როცა ახალი შრომის კანონია მიღებული, სადაც ნათქვამია, რომ დასაბუთების გარეშე ადამიანის გათავისუფლება დაუშვებელია.

– ახლა რას აპირებთ?

– სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ თანამშრომლების დირექტორი ვარ, იმ 1/3-ის, რომელზეც მოგახსენეთ, ასე რომ, ვაგრძელებ მუშაობას, ბრძოლას იმ 1/3-ში და ეს თანამდებობა მაქვს. აქციონერების ეს წილი მთელი საქართველოს მასშტაბით შეფასებული იყო 5.500.000-ად. ეს ძალიან მიზერული შეფასებაა და ასეთ თანხად შეფასებული გაიყიდა 321.000-ად, იმიტომ, რომ რამენაირად ჩაეგდოთ ხელში ეს 1/3 წილი.

– რეალურად ქართველ ხელოვანებს აღარაფერი აღარ ეკუთვნით „ქართულ ფილმში“?

– „ქართული ფილმის“ თანამშრომლები არიან მთელი საქართველოს მასშტაბით. „ქართული ფილმი“, მარტო დიდმის კინოსტუდია ხომ არ იყო? ეს იყო კინოთეატრები, ის მიწები, რაზეც კინოთეატრები იდგა, ამის მფლობელები არიან აქციონერები, ანუ წილის მფლობელები და ეს წილი იქნა წართმეული 2012 წელს. ჩვენ, შარშან რომ გავიგეთ ამის შესახებ, დავიწყეთ ბრძოლა, ვიბრძოდით და მომავალშიც გავაგრძელებთ.

– კულტურის სამინისტროს შეუძლია თქვენი დახმარება?

– ჩვენ კულტურის სამინისტროს, სამწუხაროდ, არ ვეკუთვნით, მაგრამ ამის შესახებ კულტურის მინისტრი ინფორმირებული იყო, ის ჩემი მეგობარია. ვინც გაიგო, ყველა აღშფოთდა და ასეა ყველგან, გარდა ეკონომიკის სამინისტროსი. ამის შესახებ იცის პრემიერ-მინისტრმაც. ძალიან ჩახლართული სიტუაცია ჩანს, მაგრამ ამავე დროს ძალიან ადვილად გასაგებიც.

„ახალი თაობა“ **სოსო ჯაჭვლიანსაც** დაუკავშირდა:

– თქვენ რამდენად ხართ დაკავშირებული იმ მოვლენებთან, რაც ბოლო პერიოდში განვითარდა სს „ქართულ ფილმში“?

– 2007 წლიდან 2012 წლამდე ვიყავი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი წევრი. როცა პარლამენტარი გავხდი, კანონი არ მაძლევდა უფლებას, რომ ამ თანამდებობაზე ვყოფილიყავი, აქედან გამომდინარე, მე კანონით არანაირი უფლება არ მაქვს სადღაც ჩავერიო. დაბადებიდან პარლამენტამდე, სხვანაირი ფსიქოლოგიის კაცი ვარ, სულ მირჩევდნენ, სპორტში მირჩევდნენ, მსახიობობაზე მირჩევდნენ და სულ კონკურსებში ვიყავი, მერე ფედერაციის პრეზიდენტი იყო და სულ მირჩევდნენ და პარლამენტშიც ამირჩიეს, ამიტომ ცოტა სხვანაირად ვაზროვნებ ამ მხრივ, მე მირჩევენ და არასოდეს არსად არ ვყოფილვარ დანიშნული. ჩემთვის ადვილია ასეთ თემებზე ლაპარაკი. ყველას, ვისაც ფსიქოლოგიურად სხვანაირი ცხოვრება გაუვლია, იმათ სხვანაირი ფსიქოლოგია აქვთ. იმიტომ, რომ ყველა ქურდს სხვაც ქურდი ჰგონია. მაგალითად, ავიღოთ: მერაბ თავაძემ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ ჩვენთვის სახელოვანმა რეჟისორმა ბუბა ხოტივარმა, რადგან ბორდშია და სახელმწიფომ დანიშნა, თურმე როიალი მოიპარა კინოსტუდიიდან და მის პიროვნულ თვისებებს შეეხო. გაირკვა, რომ როიალი მოპარული კი არ არის, კინოსტუდიაშია. არ უნდა დაბრმავდე იმით, როცა რაღაც ცვლილებები ხდება შენს ირგვლივ, ამას უნდა შეეგუო. მერაბ თავაძეს და კიდევ სხვას და სხვას, არავის ალბათ არსად სხვაგან არც მოუწევდა არც წასვლა და არც წამოსვლა. იქ, როცა რეფორმა დაიწყეს და ტარდება, ამიტომ იქ ყველას ადგილი იქნება და აქ გასაკვირი არაფერი არ არის, რომ, რადგან თვითონ ლაპარაკობენ, ჩვენ დავიწყეთ აუდიტის ჩატარებაო, მათ მოიწვიეს კერძო აუდიტი. აქ სახელმწიფო თვითონ ჩაატარებს საერთაშორისო აუდიტს, ხომ წარმოგიდგენიათ, ეს სახელმწიფო აუდიტი კვლევას როგორ ჩაატარებს? სახელმწიფო თვითონ გამოყოფს ამისთვის ფულს და ვიქნები ბედნიერი ადამიანი, ძალიან ამაყი, როცა სახელმწიფო აუდიტი, რომელიც ჩაატარებს მანდ ყველაფერს, პირველ რიგში გამოიძინოს და გადაათვალიერონ 2007 წლიდან 2012 წლამდე პერიოდი. მე, როგორც დეპუტატს, მაქვს იმუნიტეტი, მაგრამ ჩემთვის დეპუტატობა არაფერს ნიშნავს, ჩემთვის ყველაზე დიდი მანდატი იცით რა არის? რომ მამაჩემი იყო ამირან ჯაჭვლიანი და მე ვარ სოსო ჯაჭვლიანი. ნებისმიერ იმ ორგანოსთან, ვისაც დასჭირდება რამის გარკვევა და ჩემთან ექნება კითხვები, მივალ და ვითანამშრომლებ. ამით ყველაფერი ნათქვამია. დარწმუნებული ვარ ჩვენს სიმართლეში, იმიტომ, რომ „ქართული ფილმი“ ამ 20-25 წლის განმავლობაში აბსოლუტურად გაყიდეს. მერაბ თავაძე ლაპარაკობს, რომ თურმე ჩემს პერიოდში გაყიდულა 1/3.

– ეს არ არის სიმართლე?

– კი არ გაიყიდა, სახელმწიფოსი გახდა 100 პროცენტით და რომ იძახიან გაიყიდაო, ის ფულიც დევს მანდ. ეს სპეციალურად მოფიქრებული სქემა იყო ნაძირალა საკაშვილის მთავრობის მიერ, რომ კინოსტუდიის აქტივები, ანუ ჩვენი, აქციონერების წილი გაეყიდათ იაფად, 5 მილიონიანი აქტივები გაეყიდათ და გაყიდეს კიდეც 300.000-ად, ამ თანხად ეს აქტივები ისევ სახელმწიფომ იყიდა სპეციალურად, რომ მერე კეზერაშვილზე და იმ ვირთხებზე გაესხვისებინათ, მაგრამ ვერ მოესწრნენ ამას და მოვიდა პირველი ოქტომბერი. ახლა სახელმწიფოსია ის 100 პროცენტი და ფულიც იქ დევს. რა არის ამაში ცუდი?

– როდის შევა სახელმწიფო აუდიტი „ქართულ ფილმში“?

– ბორდმა დანიშნა ახალი ხელმძღვანელი. ხმამაღლა ვამბობ, რომ რეჟისორებმა ვერ გაართვეს თავი იმას, რასაც ჰქვია სუფთა მენეჯერი, ბორდში და სამეთვალყურეო საბჭოში კარგია რეჟისორი, მაგრამ აღმასრულებელ დირექტორად და მენეჯერად აუცილებლად უნდა იყოს გამოცდილი ეკონომისტი, რომელიც ამ საქმეშია ჩახედული. ასეთი აღმოჩნდა გელა სულიკაშვილი, ამერიკაში მცხოვრები ქართველი, ამერიკის მოქალაქე. მასზე მეორე მხარე ამბობს, რომ თურმე სოსომ ჩამოიყვანა და სოსო იცნობს ძალიან კარგადო. გელა სულიკაშვილს არასოდეს არ ვიცნობდი, არანაირი ურთიერთობა არ მქონდა. როცა ჩამოვიდა, აირჩიეს და წავიკითხე მისი სივი, დამაინტერესა და გავიცანი თბილისში. გული უნდა შემტკიოდეს როგორც ერთ-ერთ მოქალაქეს, ადამიანს, რომელიც კინოსტუდიაში კი არ დაიბადა, გაიზარდა 16 წლიდან. ასე რომ, ის რაც ეხება კინოსტუდიას, ამაზე გული შემტკივა, მაგრამ კანონი რომ არ მაძლევს ამის უფლებას, გულშემატკივარი ხომ მაინც უნდა ვიყო?

– ბორდის შემადგენლობა მართლა პირადად თქვენ დააკომპლექტეთ?

– რამდენი რეჟისორიცაა საქართველოში, ყველა არის ჩემი მხარდამჭერი და ყველას ვიცნობ, ეს დაახლოებით ასამდეა. იმ ასიდან ყველა იმსახურებს, რომ იყოს ამ ბორდის წევრი, მაგრამ 9 კაციანია, ვერ ეტევიან და რომ ვერ ეტევიან და სახელმწიფომ ასე გადაწყვიტა, რა ვქნა?!

– ვინ არიან ბორდის წევრები?

– ლევან კოღუაშვილი, რომელთანაც არანაირი ანგარება არ მაკავშირებს, გიორგი ოვაშვილი, ძალიან კარგი რეჟისორი, ლევან თუთბერიძე, ზაზა ურუშაძე, ნანა ჯანელიძე. გადავიდეთ საშუალო თაობის რეჟისორებზე – ბუბა ხოტივარი, საშა რეხვიაშვილი, ქართული კინოს მეტრი და გიორგი შენგელაიაც იყო, მაგრამ გავიდა იმიტომ, რომ ეწყინა, თავმჯდომარედ რომ არ აირჩიეს, ამიტომ სკამებს თავი დავანებოთ, ჯობია საქმე ვაკეთოთ. ასევე ბორდშია მულტიპლიკატორი დათო სიხარულიძეც. ნახეთ, როგორი შემადგენლობაა? აბა, ერთზე მითხარით რამე კომპრომატი და ან ვარგაო?

– ბატონო სოსო, თქვენც ხომ ხართ „ქართული ფილმის“ აქციონერი?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვიყავით 1/3 აქტივების მფლობელი და ვითომ ვალები გვქონდა და 6.000 ლარში გაყიდეს, როცა შემოსავალი გაქვს თვეში 70.000 და როცა 5 მილიონიანს 300.000-ად გაყიდი, რითი ყარს მაგი? 30 ვერცხლით ხომ ყარს? ამიტომ, იცით, როგორ მიხარია, რომ აუდიტი შევა იქ? დაწყნარდეს მერაბ თავაძე და ძმანი მისნი, აღწერა აუცილებლად ჩატარდება. მკლავჭიდის ფედერაციაში რომ მქონდა გაუგებრობა, მუშტი-კრივი კი არ დავიწყე, სასამართლოშია საქმე და დღე-დღეზე გამოიტანენ განაჩენს, ვარ თუ არა მართალი. თუ რამე აინტერესებთ, არსებობს სამართალი.

– ფიქრობთ, რომ მივა ეს საქმე სასამართლომდე?

– თუ აინტერესებთ და თუ თვლიან რომ ასეა, იმოქმედონ ისე, როგორც უნდათ. ყველას თავის თავის უფალი ჰყავს და მე მზად ვარ ყველანაირად და იცით რატომ? მე მართალი ვარ! მე მაქვს გლდანის პრობლემები, მაქვს პარლამენტში საკითხები და ნეტა ის პრობლემები მომაგვარებინა, მინდა ჩემს ამომრჩეველთან ერთად გადავწყვიტო პრობლემური საკითხები. კანონი არ მაძლევს უფლებას ჩვეულებრივ „ქართული ფილმის“ საკითხებში, შემიძლია ვიყო მხოლოდ გულშემატკივარი, ამიტომ ყველა დაწყნარდეს. იცით, ჩვენ როგორ უნდა ვილაპარაკოთ? კანონის ენით! სვანეთში ასეთი წესია, როცა საქმეს არჩევენ, ეტყვიან, შენ დადექი ჩემს ადგილას, რომ გაიგო, რას გთხოვ და რაზე გელაპარაკებიო.

ჩვენს საყვარელ
ოთარ ნინიაშვილს
ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ
ხანგრძლივ, ბედნიერ ცხოვრებას ოჯახთან
ერთად, ჯანმრთელობას,
ყოველგვარ სიკეთეს,
წარმატებებსა და
უფლის წყალობას!
*სიყვარულით, „ახალი
თაობის“ რედაქცია*

ოთხშაბათი 1 ივლისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „გურმანია„ 18.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა„ 23.00 მხ/ფ „კარგი გერმანელი„ (ჯ.კლუნი) 01.00 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ბერნი„ 09.00 მხ/ფ „მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად„ (პ. ვილაჯო) 10.40 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ — „საფრანგეთი„ 11.10 მხ/ფ „კუზნიანი„ (ჟ.მარე) 13.00, 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 3-4 ნაწ. 14.00 „ეპიცენტრი„ (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება)23.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 9 სერ.00.15 მხ/ფ. „გაამოსასყიდი„ (მ.ბელო)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ქალა„20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუყრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.55 მხ/ფ „ვინ შეეპაზმავს ცხენს„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ „ჩვენი ეზო„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 „ბაბილონი„ 16.40 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.05 დოკ/ფ „რუსთაველის ნაკვალევზე„ 18.10 ტელეზღაპარი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა„ 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „რა გაცინებს?!„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ლაზეთის ბულბული„ 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00, 22.20, 1.30 მაგთიფანი 12.50, 23.00, 3.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „1001 ღამე„ 22.00, 0.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სამშაბათი 2 ივლისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „ჩვენი ეზო„ 18.00 დ/ფ „ადამიანი პლანეტა„ 19.05 ტ/სერ „მაგდა ემი„ 21.00 „აქცენტები„ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა„ 23.00 მხ/ფ „ილგლიანი„(ე.ბრანა)01.10 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 11.00, 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 4-5 ნაწ. 14.00 დ/სერ. „მეცნიერება ფილმებში„ 7 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე) 21.30 „არგუმენტების დრო„ (პ/ე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „ნანა ცინცაძე„ 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 6 სერ. 23.00 მხ/ფ. „შეცვლა„ (ჯ.გოლდბერუმი) 01.20 მხ/ფ. „დაბრუნება ბრაიდსჰედში„ (ე. ტომპსონი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ქალა„20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუყრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.50 სპექტაკლი - „პატარა უფლისწული„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 დოკ/ფ „ხიდი„ 16.35 კონცერტი - ახალგაზრდული ორკესტრი ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით 18.10 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.55 კარაბადინი

მაესტრო 7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 22.20, 1.30 მაგთიფანი 11.30, 22.00, 0.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „1001 ღამე„

ოთხშაბათი 3 ივლისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.30 „AQUA–GEORGIA„ 18.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 19.05 ტ/სერ „მაგდა ემი„ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა„ 23.00 მხ/ფ „ზოდიაქო„ (მ.რუფალო) 01.30 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.30 „არგუმენტების დრო„ (სამშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 8 ნაწ. 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 6 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 00.15 მხ/ფ. „კანი„ როელფიც ვცხოვრობ„ (ე.ანაია)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ივლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ქალა„22.00 ნანუკას შოუ. 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.35 მხ/ფ „ნისლების სანაპირო„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 12.40 ღია აუდიტორია 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 ისტორიის გაკვეთილი 15.55 კონცერტი - ანს. „ერქვანი„ 16.55 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „თემო„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ჩვენ მშვიდობა„ 23.30 ჟურნალისტის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „წარსულის აჩრდილები„ I ნაწ. 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00 მაგთიფანი (გამ) 11.30 „ყოველდღიური აბები„ (გამ.) 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 1.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ (გამ.) 19.00 სერიალი „1001 ღამე„ 21.30, 2.30 მაგთიფანი კონცერტი 23.30, 5.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.)

ხუთშაბათი 4 ივლისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „საფარი„ 18.00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი: ჩიხურა /საჩხერე/ — „ვადუცი„ /ლიხტენშტეინი/ (პ/ე ლოკომოტივიდან.) 21.00 „საჯარო პოლიტიკა„ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ინტიმური ლექსიკონი„ (ტიტ.) (ჯ.ალბა) 02.00 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 11.00, 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 6-7 ნაწ. 14.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 9 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე) 21.30 „არგუმენტების დრო„ (პ/ე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ.„დაბრუნება„ 1 სერ. 22.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 8 სერ. 23.00 მხ/ფ. „ილაის წიგნი„ (გ.ოლდენი) 01.35 მხ/ფ. „საბედისწერო მოგზაურობა„ (ო.უაილდი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ქალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუყრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.50 მხ/ფ „წარსულის აჩრდილები„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ „ზღვარი„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „თემო„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 დოკ/ფ „სამი საქართველო„ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დრო და ადამიანები 16.10 კონცერტი - ლიანა ისაკაძე (ბათუში) 18.10 ტელეზღაპარი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სხვისი შვილები„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 „თვენი„ წმინდა მეფე არჩილი 22.35 დოკ/ფ „ჰერეთი„ I ნაწ. 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ჰერეთი„ II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „წარსულის აჩრდილები„ II ნაწ. 02.10 ირაო

მაესტრო 7.00, 1.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.50 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „1001 ღამე„ 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

პარასკევი 5 ივლისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „საუკუნის პორტრეტები„ 17.30 „ეთნოგრაფიული ჩანახატები„ 18.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 19.05 ტ/სერ „მაგდა ემი„ 21.00 „აქცენტები„ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა„ 23.00 „წითელი ზონა„ 00.00 ქართ. მხ/ფ „ბელურეგის გადაფრენა„ 01.00 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.30 „არგუმენტების დრო„ (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 10 ნაწ. 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 8 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე)

07.30 იმედის დილა

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება)10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 21.00 სერ.„დაბრუნება„ 2 სერ.21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ. „ბრძოლის წესები„ (ს. ელ ჯექსონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ქალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუყრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.50 მხ/ფ „წარსულის აჩრდილები„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ „ჰერეთი„ I ნაწ. 11.05 ისტორიის გაკვეთილი 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ხსვისი შვილები„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ჰერეთი„ II ნაწ. 16.10 საუბრები ლიტერატურაზე 16.40 კონცერტი - ზღაპარი სიყვარულისა (ალექსანდრე ბასილაია) 18.10 ტელეზღაპარი 20.35 „განთიადის„ არქივი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ „დანაშაული მოხდა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 11.00, 1.30 „მაგთიფანი„ (გამ.) 11.30, 22.00, 0.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„ 12.50, 22.20, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „1001 ღამე„

შაბათი 6 ივლისი

08.00 საბ. მხ/ფ „ბელნის გული„ 10.00 საბ. ან/სერ. „ზინგზილები„ 11.00 „პეპე და მეგობრები„ 12.00, 16.00, 20.00, 03.30 „მოამბე„ 12.30 კონცერტი: ზაზა მარჯანიშვილი 14.00 ფილმი ნოსტალგია: „ბაალთაპოლიციანა„ (ფნუარე) 16.30 ქართ. ტ/ფ „ზღარბი„, „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „10ი10„ 20.35 „ახალი ქართული კინო„ 21.00 მხ/ფ „შავი თუთა„ 22.00 მხ/ფ „სამეფო სასახლე„ (კ.დენევი) 00.00 მხ/ფ „სუინი თოდი: წყეული დალაქი ფლით სთრიოთიდან„ (ჯ.დეპი)

08.00, 10.00, 16.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 12.00 დ/ფ „ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში„ 13.00 მხ/ფ „სასიკვდილო ირაღი-3„ (მ.გიბსონი) 15.00 დ/ფ „ლეონარდო და ვინჩი„ 17.00 მხ/ფ „ვიკის საათი-3„ (კ. ტაკეერი) 19.00 „ეპიცენტრი„ (პ/ე) 20.00 მხ/ფ „თუ დედამთილი ურჩხულია„ (ჯ.ლოპესი) 22.00 ტ/სერ. „ტაძსისტი„ I სერ. 23.00 მხ/ფ „სისხლიანი ალმასი„ (ლ.დიკაპრიო) (ტიტ.)

08.15 ან/ფ „ავატარი„ 6-7 სერ. 09.00 მხ/ფ. „ჯადოქარი ტყუპები„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ „სპანჯბობი„ 4 სერ. 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი„ 8 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ „გოგონების როკი„ (გ/ჩ) 17.50 სერ „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ.„დაბრუნება„ 3 სერ. 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ. „პორტებების სავანე: ეაოკაპიესი„ 01.45 მხ/ფ. „უცნაური შეხვედრა„ (ს.ქერელი)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შერეკილები 10.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„20.05 სერ. „ერთგულების ქალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 რა? სად? როდის? 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 „Latin Angels" 01.30 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე, ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „დანაშაული მოხდა„ 13.35 დოკ/ფ „ზურაბი„ 14.00 ქრისტიანული სწავლება 14.10 სათავეებთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-„ტურანდოტი„ 17.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.50 ფოტოგალერეა 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექსით ქებათა ქება 21.35 კარაბადინი 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.35 მხ/ფ „დანტეს პიკი„ 02.15 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„(გამ.) 10.00 მაგთიფანი (გამ) 10.30, 18.45 „ყოველდღიური აბები„ 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი „1001 ღამე„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ „პრესპრესი„ 23.00, 2.30, 3.30 ფარული კამერა 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„

კვირა 7 ივლისი

08.00 დ/ფ „ეფლი„ 09.00 საბ. ან/სერ. „ზინგზილები„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „პეპე და მეგობრები„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „სპექტაკლის დრო„ — სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: „ბანკიცხულნი„ 14.45 „ეთნოგრაფიული ჩანახატები„ 14.30 ფილმი ნოსტალგია: „მაღალი ძერა მამაკაცის დაბრუნება„ (პ.რიშარი) 16.30 „ვაშინგტონი დღეს„ 17.00 ქართული მხ/ფ „ცისკრის ზარები„ 18.15 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 18.45 კონცერტი: ნინო ქათამაძე — არტ-გენი 2006 19.55 ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: დინამო /თბილისი/ — დინამო /მოსკოვი/ (პ/რ დინამო არენადან) 22.00 მხ/ფ „ველური„ ველური ვესტი„ (უ.სმითი) 00.00 მხ/ფ „მაგნოლია„ (ტ.კრუზი)

08.00 დ/ფ „სკეიტბორდის ისტორია„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა„ (ჯ. დეპი) 12.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ — „ბასკები„ 12.30 მხ/ფ „სუპერმენი„ (ჯ.ჰეკმანი) 15.00 დ/ფ „ლუბელი სამყაროს თავზე„ 16.00 მხ/ფ „ბორსალინო და კომპანია„ (ა.დელონი) 18.00 დ/ფ „შტაინერების ოჯახი„ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — „ამელია ერჰარტი„ 20.00 მხ/ფ „ბინგო ბონგო„ (ა.ჩერლენტანო) 22.00 ტ/სერ. „ტაძსისტი„ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „სიძი დიდ ქალაქში„ (ს.ჯ.პარკერი)

08.15 ან/ფ „ავატარი„ 08.30 ქ. მხ/ფ. „ხარება და გობია„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი„ 9 სერ. 14.20 მხ/ფ. „ცარიცის ზღვის მეკობრეები: უცნაურ წყლებში„ 17.40 იმედის გმირები 17.50 სერ. „სახიფათო კაბინირი„ 5 სერ. 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ„ გააჩერე 00.00 იმედიატორი 01.30 დოკ/ფ„ბავშვები და ფული„

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. „ჩ

ედვარდ სნოუდენის საქმე

სკანდალი ცივი ომის სტილში

– სნოუდენის საქმე ცივი ომის საუკეთესო ტრადიციების მიხედვითაა შექმნილი. კარგა ხანია საზოგადოებას ასეთი სპექტაკლები არ უნახავს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ედვარდ სნოუდენი ამერიკის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელია. მან თავის დროზე ინფორმატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ მსახურობდა არმიაში. ტრავმის გამო სნოუდენის ჯარში სამსახური ვადაზე ადრე დასრულდა, მან ფეხი მოიტეხა და სამედიცინო კომისიამ სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ცნო, ამის შემდეგ სნოუდენი მსახურობდა ამერიკის დაზვერვაში (ცსს), სადაც ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფა ევალებოდა. როგორც ცსს-ის თანამშრომელი, ის იმყოფებოდა შვეიცარიაში და იქაურ ამერიკის საელჩოში მსახურობდა. 2009 წელს სნოუდენი ამერიკის დაზვერვიდან წავიდა და ამის შემდეგ იმ კერძო ფირმებზე მუშაობდა, რომლებიც ეროვნული უშიშროების სააგენტოსთან იყვნენ დაკავშირებული.

შემდგომში სნოუდენმა განაცხადა, რომ ამერიკის დაზვერვაზე გული აუცრუვდა. მისი სიტყვებით, პირველად ეს შვეიცარიაში მოხდა, სადაც ის უშუალო მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ იბირებდა ცსს-ი ერთ-ერთ შვეიცარიელ მოქალაქეს.

– ის საგანგებოდ დაათვრეს, შემდეგ საჭესთან დასვეს. რასაკვირველია, ხსენებული მოქალაქე პოლიციამ გააჩერა და დააჯარიმა. ცსს-ის თანამშრომლებმა უბედურს შანტაჟი მოუწყვეს, ან ჩვენზე იმუშავე, ან სკანდალს აგიგორებთო, – ყვებოდა სნოუდენი.

ასეთი მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილს იწვევს. შესაძლოა პატარა ბიჭები ყაჩაღობანას თამაშისას ამდაგვარ ხერხებს მართლაც იყენებენ, მაგრამ არც ერთი ქვეყნის დაზვერვა ასე არ მუშაობს. სნოუდენი ამტკიცებდა:

– ცსს-ი არავითარ კანონს არ დაგიდევს! ის ამერიკის მოქალაქეებზე ინფორმაციას უკანონოდ აგროვებს!

ეს სქემა არ ახალია. ყველა მოღალატე მუდამ ცდილობს თავისი საქციელი მაღალი იდეალებით გაამართლოს. ასე, მაგალითად, კიმ ფილბი კომუნისტურმა იდეოლოგიამ მოხიბლა, ჯორჯ ბლეიკი კი ამტკიცებდა, ღრმად მორწმუნე კაცი ვარ, კომუნისტური იდეალები კი პირველი ქრისტიანების იდეალებიაო(!). ორივე ცდილობდა საკუთარი სულმოკლეობა დაემალა. ფილბის რეალური მამოძრავებელი ფული და კარიერა იყო. სუკის დახმარებით ამისი მიღწევა სწრაფად შეიძლებოდა. ბლეიკი კი კორეის ომის დროს ტყვედ ჩავარდა. მან ბანაკის ძმიმე პირობები ვერ აიტანა და თავისი თანამემამულეები გასცა. ამის შემდეგ სუკს ყურებით ჰყავდა გამოჭერილი. ბლეიკიც ყველა ბრძანებას უდრტვინველად ასრულებდა.

– აგენტი რომ კონტროლზე გყავდეს, მასზე ძლიერი უნდა იყო, ანუ მის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდე, – წერს სუკის ექსგენერალი ოლეგ კალუგინი, – აგენტმაც უნდა იცოდეს, რომ ყოველ წამს მისი გაცამტვერება შეგიძლია! იდეური სარჩული სისულელეა! დღეს შეიძლება ერთი პოლიტიკური მრწამსი გაგაჩნდეს, ხვალ-მეორე. ფული და კარიერის გაკეთების წყურვილი კარგი სტიმულია, მაგრამ მარტოოდენ ეს არ კმარა. რა გარანტიაა, რომ მოწინააღმდეგე მხარე უფრო მეტს არ გადაუხდის? აი, კომპრომატი სულ სხვაა. ამით აგენტი ყურებითა გყავს გამოჭერილი! ამით ის აბსოლუტურად მართვადი ხდება“.

რა კომპრომატი არსებობდა სნოუდენზე? აშშ-ში მას უკვე წაუყენეს სახელმწიფო სახსრების დიდძალი ოდენობით მითვისების ბრალდება, სნოუდენს მაღალი ხელფასი ჰქონდა (200 ათასი დოლარი წელიწადში), თუმცა აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილს ეს ნამდვილად არ ჰყოფნიდა. დავუმატოთ ამას ეპილეფსია, რამაც მის ფსიქიკას წარუშლელი კვალი დაამჩნია და კომპლექსებიც განუვითარა.

— ასეთ ადამიანებს ნებისმიერ ფასად თავის გამოჩენა სწყურიათ, – ამბობს რადიო „თავისუფლება“.

შემდგომი მოვლენები დეტექტიური ჟანრის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით განვითარდა. სნოუდენმა ანონიმური წერილი მიწერა ცნობილ პროდიუსერსა და საზოგადო მოღვაწეს ლაურა პოიტრასს. ის იტყობინებოდა, რომ გააჩნია ინფორმაცია ქვეყნის შიგნით აშშ-ს დაზვერვის უკანონო საქმიანობაზე. გარკვეული მომენტამდე სნოუდენის ვინაობის გამხელა არ ხდებოდა. მართალია „გარდიანმა“ და „ვაშინგტონ პოსტმა“ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დაბეჭდეს, მაგრამ იქვე აღნიშნეს, რომ გასაგები მიზეზების გამო ინფორმატორის ვინაობას ვერ გაამხელდნენ. მხოლოდ ის თქვეს, რომ ის უაღრესად ინფორმირებული პიროვნება და ცსს-ის ყოფილი თანამშრომელია.

– ვიცი, რომ ცსს-ს გრძელი ხელი აქვს და დედამიწის ნებისმიერ წერტილში მომწვდება, – მოჰყავდათ გაზეთებს ანონიმური მზვერავის სიტყვები.

სნოუდენმა ჟურნალისტებს გადასცა ინფორმაცია საიდუმლო პროგრამა PRISM –ის შესახებ, რომლის მიზანია კონტროლზე ჰყავდეს აშშ-ს წინააღმდეგ მიმართული მთელი სადაზვერვო საქმიანობა. სნოუდენი ამტკიცებდა, რომ ცსს-ი მოქალაქეების უკანონო მოსმენებს ახორციელებს, მათ ელ-ფოსტას აკონტროლებს, სხვის კომპიუტერულ ქსელებში უკანონოდ იჭრება. მართალია, დამამტკიცებელი ფაქტები ვერ მოჰყავდა, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია ჯერ „ვაშინგტონ პოსტის“, შემდეგ „გარდიანის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ბევრს არ სჯეროდა, რომ იდუმალი მზვერავი მართლაც არსებობდა, თუმცა ცსს-მა მალე დაადგინა, რომ ეს კაცი სნოუდენი გახლდათ. შემოწმებით დადასტურდა, რომ სნოუდენმა დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრები მიითვისა. როგორც ჩანს, თავად სნოუდენიც მიხვდა, რომ ცსს-ის ყურადღების ქვეშ მოექცა, ამიტომ ამერიკა სასწრაფოდ დატოვა და ჰონკონგში გაემგზავრა. როგორც ჩანს, მას სურდა სკანდალის ჩაცხრობამდე იქ ყოფილიყო, ხოლო როცა ყოველივე დავიწყებას მიეცემოდა, კვლავ სამშობლოში დაბრუნდებოდა.

– მას ამისი საშუალება არ მისცეს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

მალე ჰონკონგში „გარდიანის“ ჟურნალისტი ჩავიდა. ის სნოუდენს საგანგებოდ ესტუმრა და ინტერვიუს მიცემა მოსთხოვა. სნოუდენს თავზარი დაეცა. ცხადი იყო, რომ უხილავი ხელი ყოველნაირად ცდილობდა, რათა რუსეთში ჩასვლის გარდა სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდა. თუკი „გარდიანი“ მის ინტერვიუს დაბეჭდავდა, აშშ მის, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავის, ამერიკაში დეპორტაციას მოითხოვდა. იმაში, რომ ცსს-ი საჭირო ფაქტებს უხვად შეკრებდა, სნოუდენს ეჭვი არ ეპარებოდა. მართალია „გარდიანსა“ და „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუებში მისი გვარი დასახელებული არ იყო, მაგრამ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე მისი გაშიფრვა სულ მარტივად შეიძლებოდა. ახლა, თუკი გაზეთი მის ინტერვიუს დაბეჭდავდა, სამშობლოში დაბრუნებაც შეუძლებელი გახდებოდა.

– აუცილებელია, რომ ინტერვიუ დაიბეჭდოს? – სნოუდენმა სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

– ვინც იტყვის „ა“, „ბ-ც“უნდა მიაყოლოს, – გაისმა პასუხად.

მალე „გარდიანმა“ სნოუდენის ინტერვიუ დაბეჭდა. აშშ-მ მისი გადაცემა ოფიციალურად მოითხოვა. ჩინურ მხარეს გადაეცა მასალა, რომელიც სნოუდენის მიერ სახელმწიფო სახსრების მითვისებას ადასტურებდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა კი განაცხადა:

– ჩვენ მზადა ვართ, სნოუდენს პოლიტიკური თავშესაფარი მივცეთ!

სნოუდენიც ჰონკონგიდან გაუჩინარდა. მალე რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა დაადასტურა, რომ ცსს-ის ყოფილი თანამშრომელი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

– ამერიკელებმა რუსებს გადასცეს მტკიცებულებები, რომლებიც სნოუდენის მიერ სახელმწიფო თანხების მითვისებას ადასტურებდა. ამან არ გაჭრა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

სნოუდენის საქმე კიდე ერთი დადასტურებაა იმისა, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის უფსკრული ღრმავდება. რამდენად შორს წავა ეს პროცესი?

ნიკა თევზაძე

ნელსონ მანდელა გარდაიცვალა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

„ყოველთვის შეუძლებლად მიგაჩნია, სანამ გაკეთებ“.

„ფულს არ ძალუძს შექმნას წარმატება, რომელსაც თავისუფლება უზრუნველყოფს“.

„არაფერია თვითშეცნობისთვის იმაზე კარგი, რომ დაბრუნდე იქ, სადაც არაფერი არ შეცვლილა, მაშინ გაიგებ თურაოდენ შეიცვალე“.

„ყოველი მთის დალაშქვრისას, შენს წინ იშლება კიდევ უფრო მაღალი მთები, რომელთა დალაშქვრაც მხოლოდ შენ მოგიწევს“.

„გამარჯვებული არის მეოცნებე, რომელიც არასდროს ნებდება“.

„განათლება არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მსოფლიოს შეცვლისთვის“.

„ჩვენს ქვეყანაში ჯერ მივდივართ ციხეში, ხოლო შემდეგ ვხდებით პრეზიდენტი“.

„თუ ამერიკის შეერთებული შტატების ან ბრიტანეთს აქვთ არჩევნები, ისინი არ ითხოვენ დამკვირვებლებს აფრიკიდან ან აზიიდან. მაგრამ როდესაც ჩვენ გვაქვს არჩევნები, მათ სურთ დაკვირვება“.

„ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ბედნიერებისა არის აბსოლუტურად გამქრალი სურვილი იმისა, რომ ვინმეს რამე უმტკიცო“.

„არც ერთხელ რომ არ დაეცემი, ეს არ არის ყველაზე დიდი დამსახურება ცხოვრებაში, მთავარია ყოველი დაცემის დროშ წამოდგე“.

ვერა მამულაშვილი

სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი რექტორის ამირან მექვაბიშვილის სახით თანაგრძნობას უცხადებს ლაურა და ღვითასავარ არჩემაშვილებს სიძისა და ქვისლის

ჯემალ ბინკინაშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

განცხადებები

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ პაციენტისგან ფარულად მის ულუფა საკვებში, წვენებში, წვნიანებში, წყალში ფხვნილის, ნაყენისა და წვენების სახით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა, ლამბლიოზი-ჭიები, ნაღვლის ბუშტის ანთება, ნაღვლის წვენის დისკინეზია, ნაღვლის ბუშტიდან შლაკებისა და წვრილი კენჭების გამოდევნა, გაუვალობა, შებერილობა, ღვიძლის გასუფთავება, ნაწლავების გაწმენდა მცენარეული, უსაფრთხო, ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაოგარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1 000 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა სატრფოსთან; 2. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომი; 3. რელიგიური საგალობელი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. გობელენისტი ქართველი მხატვარი მამაკაცი; 8. მდინარე გაგრაში; 12. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. ხეობა კავკასიაში; 19. ჩეხური მოტოციკლეტი; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

თარაზულად: 5. ქართული ტელეკომპანია; 6. სინათლის სხივის დაშლა სპექტრის ცალკეულ ფერებად; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 10. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. კოლხეთის მითოლოგიური მეფე აიეტის ქალიშვილი; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 15. აეროპორტი მილანში; 18. ჩქარტემპიანი მექსიკური ცეკვა; 21. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 22. უაზრობა, შეუსაბამობა; 23. ნახშირის, სახატავი ფანქარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ზოფხიტო; 2. ლაპი; 3. ციცკა; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 9. სამაია; 13. კამბუზი; 14. ყარყუმი; 15. ხახული; 17. კელია; 18. სანტე; 20. იორი.

თარაზულად: 1. ზელტერი; 5. თართი; 7. ხილნარი; 8. ფიპრესი; 10. სიათა; 11. კოშმა; 12. პომადა; 16. ლავაში; 17. კაისა; 19. მონე; 21. ხუცური; 22. პიკეტი; 23. ღიღინი; 24. ფიქალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიადუკი; 2. მექისე; 3. მესაჯერო; 4. სატელიტი; 7. სიბელიუსი; 8. წყვდიადი; 12. ჩუქურთმა; 14. ფილოლოგი; 16. წერაქვი; 17. კალმახი; 19. ნევა; 20. ქაჯი.

თარაზულად: 5. ზიმბაბვე; 6. კლეპსიდრა; 7. სულორი; 10. სირაჯი; 11. ჭკვავი; 13. დურდო; 15. პიარნუ; 18. მესხი; 21. ქორწინება; 22. ქარაგმა; 23. დავლური.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6509
- ევრო — 2,1498
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5358
- 100 რუსული რუბლი — 5,0198

ამინდის პროგნოზი 29 ივნისისთვის

მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

სერია „ეს სამყაროა“ „ახალ თაობასთან“ ერთად

ბამბონეებები	რაინდები და ციხე-კოშკები	მწერები და ობობები	მფრინავები	ოკეანეები	პოლარული სამყარო	რეპტილიები	ტროპიკული ტყეები	ზვიგენები

მ ა ლ ე !

ლეგენდარული „მგლის ბილიკი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

ასტროპროგნოზი

29 ივნისი – წახმატებული დღეა

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კვრო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

30 ივნისი – საინტერესო დღეა

ვერძი – საკუთარ თავზე მუშაობა ნამდვილად გარგებთ. **კვრო** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** – სხვისი აყოლა არ გარგებთ, თქვენი მოვალეობა შეასრულეთ პირნათლად. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, მთავარია ეკონომიურად გამოიყენოთ. **ლომი** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, ბოლომდე დაიხარჯებით. **ქალწული** – არ გარისკოთ, მშვიდად იმუშავეთ. **სასწორი** – ისწავლეთ და იმუშავეთ, დრო არ დაკარგოთ. **ღრიანკალი** – საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** – გადაღლილი ხართ, ცოტა შეისვენეთ. **თხის რქა** – უარი არ თქვათ ახალ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** – არ გაექცეთ პასუხისმგებლობას, ისე მიუდექით საქმეს, როგორც გეკადრებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

მიურეი სერენას იწვევს

მიუხედავად იმისა, რომ სერენა უილიამსი მანდილოსანია, ისეთი ფიზიკური ძალით გამოირჩევა, რომ მასთან საჩოგბურთო კორტზე გასვლის სურვილი ბრიტანელმა ენდი მიურემ გამოთქვა.

ენდი მიურეი:

– სიამოვნებით ვითამაშებდი საგამოფენო მატჩს სერენასთან. მიუხედავად იმისა, რომ სერენა ქალბატონია, ის ჩინებული ჩოგბურთელია და ჩემთვის საინტერესოა ასეთი დონის სპორტსმენთან გაჯიბრება, მით უმეტეს, წარსულში საპირისპირო სქესის წარმომადგენლები ერთმანეთს უკვე შეხვედრიან – გავიხსენოთ ჯიმი კონორსისა და მარტინა ნავრატილოვას მატჩი. ასე რომ, კარგი იქნებოდა, თუკი მე და სერენა ერთმანეთს თუნდაც ლას ვეგასის კორტზე შევხვდებოდით.

სერენა უილიამსი:

– მიურეის ჩემთან თამაში ნამდვილად სურს? არ ვარ დარწმუნებული, რომ მასთან თუნდაც ერთ გეიმს მოვიგებ, მაგრამ, ვფიქრობ, მაყურებლისთვის საინტერესო სანახაობა გამოგვივა. მარეის სტილისა და დონის ჩოგბურთელთან დაპირისპირებას ნამდვილად არ ვისურვებდი, მაგრამ მის წინადადებას დავთანხმდები მხოლოდ ჩემი პირობებით – ჩემთვის მოწოდების ზონა უნდა გაფართოვდეს და ენდის მხარეს აუტი წყვილთა თანრიგის მატჩისთვის განკუთვნილ არეალში ბურთის ჩავარდნისას არ უნდა დაფიქსირდეს.

შეიარაღებულმა „ბაიკერებმა“ ნიგერიის სამი სოფელი გადაწვეს

სულ მცირე 48 ადამიანი ემსხვერპლა ხოცვა-ჟლეტას, რომელიც ხუთშაბათს ნიგერიაში მოხდა. მოტოციკლეტებზე ამხედრებულმა შეიარაღებულმა პირებმა, ცენტრალურ შტატ პლატოს შორეულ რაიონში მდებარე სოფლებზე იერიში მიიტანეს. თავდასხმა, კაეკაშის, ბოლგანგის და მაგამას ტომების სამ სოფელზე განხორციელდა. შედეგად, სულ მცირე 28 მცხოვრები მოკლეს, კიდევ 20 დაღუპული – თავდამსხმელებს შორისაა.

ორი ბოევიკი შეპყრობილი იქნა. ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, თავდამსხმელებმა დაახლოებით 100 სახლი გადაწვეს.

ძალადობის ახლანდელ აფეთქებას, შინაური საქონლის მოპარავას უკავშირებენ. უპირატესად მუსულმანული ეთნიკური ჯგუფის, ფულანის მწყემსები, საქონლის გატაცებებში ქრისტიანული ეთნიკური ჯგიფის, ტაროკსის წარმომადგენლებს ადანაშაულებენ.

პლატოს შტატი, მუსულმანურ ჩრდილოეთს და ქრისტიანულ სამხრეთს შორის, ნიგერიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. აქ ბოლო წლებში, რელიგიათაშორის კონფლიქტებს ათასობით ადამიანი ემსხვერპლა.

გ. მ.

იაპონელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, როგორ ატყუებენ კატები პატრონებს

კატები თავიან პატრონებს სხვა ადამიანებისგან ხმის ტემბრით, ასევე რიგი სხვა ნიშნებით არჩევენ, გაარკვიეს იაპონელმა მეცნიერებმა. კვლევამ აჩვენა, რომ შინაური ცხოველები მხოლოდ თავს გვაჩვენებენ, რომ თითქოს პატრონის არ ესმით: რეალურად, კატისებრი საფირმო მიუღებლობა ადამიანებისადმი – მათი გადარჩენის სტრატეგიის მხოლოდ ერთი ნაწილია, – წერს „დელი მეილი“.

ტოკიოს უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევისას, კატებს ურთავდნენ როგორც მათი მფლობელების, ასევე სხვა ადამიანების ხმათა აუდიოჩანაწერებს, რომლებსაც ადრე საერთოდ არ შეხვედროდნენ. ამასთან, კატები ვერ ხედავდნენ, თუ ვისი ხმა ესმოდათ: ექსპერიმენტი მხოლოდ აკუსტიკური შინაარსის იყო.

აღმოჩნდა, რომ პატრონის ხმის ჩანაწერის მოსმენაზე კატები რეაგირებდნენ ყურების მოძრაობით, ან თავს აბრუნებდნენ; როცა უცნობის ხმა, უმრავლეს შემთხვევაში, არანაირ რაქციას არ იწვევდა. უფრო დაწვრილებითმა კვლევამ აჩვენა, რომ პატრონის ხმის გაგონებისას და მისი ვერ დანახვისას, კატები ღელავდნენ, რაზეც თვალების გაფართოება მიუთითებდა.

„ძაღლები თავიდანვე ბრძანებების შესრულებას მიაჩვია ადამიანმა, მაგრამ კატები არა – ამიტომ მათი ქცევა ბევრად დამოუკიდებელია. თუმცა ამასთანავე, მათ მფლობელებთან განსაკუთებული ურთიერთობები აქვთ“, – განუცხადა კვლევის თანაავტორმა აცუკო საიტომ „დისქავერი ნიუსს“.

გ. მ.

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. სატირული სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 2. დაუკოდავი ხარი; 3. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 4. დიდი მახრჩობელა გველი; 6. მდგომარეობა ჭიდაობაში; 9. საგანგებოდ გამოყვანილი, დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 13. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ბუდიზმის ფუძემდებელი; 15. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 17. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 18. აზროვნების ორგანო; 20. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი.

თარაზულად: 1. პოეტი, სახალხო მთქმელი უკრაინაში; 5. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი კორსიკაში; 7. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 8. დასავლეთის არაბული სახელწოდება; 10. დიდი ისტორიული პერიოდი; 11. მესაქონლეობის ფერმა ლათინურ ამერიკაში; 12. ველური ვარდი; 16. ბელგიური ავიაკომპანია; 17. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 19. ფრანგი მეზღაპრე; 21. „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს პერსონაჟი; 22. მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი; 23. ფულის ერთეული კუვეიტში; 24. დილის სადილი.

შეადგინა თ.ოგოგინაშვილმა